

619 /
1984/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



619/2

ISSN 0130 1624

საქართველო

97

ივლისი
№ 7 1984 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ახალი საქართველოს პარტიის პროგრამა

სარგო რიგგადასვლა

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური
განათლების სახელმწიფო კომიტეტის
თავმჯდომარე.

ლობა განპირობებულია იმითაც, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ქსელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის 19 აპრილის პლენუმზე ამხანაგმა კ. უ. ჩერენკომ აღნიშნა: „სკოლის რეფორმა ერთგვარი ღონისძიება როდია, და საქმე მარტო ის კი არ არის, რომ იგი გათვალისწინებულია ორი ხუთწლიანი სავსის, როცა საქმე ეხება ცოცხალ ადამიანებს, მითუმეტეს ბავშვებს, არ შეიძლება ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება. პრაქტიკა, რა თქმა უნდა, შეიტანს შესწორებებს ჩვენს ზოგიერთ მონახაზებსა და გეგმებში, და ამის არ უნდა გვეშინოდეს. მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს ჩვენი სტრატეგიული ორიენტირი — ყოველმხრივ განვითარებული პროგრესების ჩამოყალიბება“.

ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე რესპუბლიკის პროფტექგანათლების სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით კონკრეტულად გამოიკვეთა მომავლის ამოცანები.

ჩვენი ძირითადი მიმართულებაა — ახალი, თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილ სასწავლებელთა კომპლექსების აშენება. უკვე შემუშავებულია იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნუსხა, რომლებიც შეიქმნება სახელმწიფოს ხარჯზე. გეგმიური მონაცემებით XII ხუთწლიელში აშენდება 67 თანამედროვე კომპლექსი, 40 ათას სასწავლო ადგილზე. არსებული სასწავლებლების ნაცვლად მწყობრში ჩადგება 19 ახალი ნაგებობა 10320 სასწავლო ადგილზე.

გაფართოვდება სასწავლებლების განლაგების ვეოგრაფია.

ფართოდ დაინერგება პროფტექგანათლების ქსელის განვითარების ისეთი სისტემა, როგორცაა სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, დაუტვირთავი სკოლა-ინტერნატების, ბაზებზე პროფტექსასწავლებლებისა და ფილიალების გახსნა.

ეს ღონისძიება მარტო სასწავლებლების ქსელის გაფართოების ეფექტური ფორმა როდია, იგი სერიოზული სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებაცაა, რადგან ხელს შეუწყობს მიგრაციის შემცირებას, სოფლების, რაიონების ეკონომიკურ განვითარებას, მაღალმთიანი რაიონების მეურნეობის აღორძინებას.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ქსელის განვითარება, მოსწავლეთა კონტინენტის გაზრდა, მოითხოვს შესაბამის

სასწავლო მატერიალურ ბაზას, მისი გადაწყვეტა მთლიანადაა დამოკიდებული საბაზო საწარმოებზე. პარტიამ და მთავრობამ, ამ საქმეში მათი როლის ამაღლების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს, სრულყოფით და უფრო ეფექტური გავზარდოთ სასწავლო პროცესი, განსაკუთრებით საწარმოო სწავლება.

რეფორმასთან დაკავშირებით მიმდინარე წელს არსებული პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები გარდაიქმნება ერთი ტიპის — საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, სადაც იქნება შესაბამისი განყოფილებანი პროფესიებისა და სწავლების ვადის მიხედვით, შემსვლელთა განათლების დონის გათვალისწინებით.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოამზადებენ საშუალო განათლების კვალიფიციურ მუშებს იმ ახალგაზრდებისაგან, რომლებმაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა, როგორც წესი, სამი წლის სწავლების ვადით, და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთაგან ერთ წლამდე სწავლების დიფერენცირებული ვადით, მათი შრომითი მომზადებისა და პროფესიების სირთულის გათვალისწინებით. სასწავლებლებში ნებადართულია აგრეთვე შეიქმნას ცალკეული ჯგუფები, ფილიალები, საღამოს (ცვლის) განყოფილებანი იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ვერ მიიღეს საშუალო განათლება. საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს დაეკისრებათ აგრეთვე ახალი ფუნქციაც — განახორციელონ მუშათა კადრების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

ამას გარდა, რეფორმით გათვალისწინებულია საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე ფართოდ იქნას გამოყენებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივი, სასარგებლო შრომა.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება კონკრეტული საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს. სახელმწიფო კომიტეტმა და დარგობრივმა სამინისტროებმა უნდა გაითვალისწინონ ის მწარე გამოცდილება, როდესაც სასწავლებლები არ მარაგდებოდა თანამედროვე მოწყობილობებით, ამის გამო მოსწავლეებს უჭირდათ საბაზო საწარმოებში ახალი ტექნიკის მართვა.

დღეს საბაზო საწარმოებისა და სასწავლებლების ურთიერთობაში გამოიკვეთა დადებითი პერსპექტივები. სახელმწიფოებრივ ნიადაგზე აღმოცენებული ეს კეთილი ურთიერთდამოკიდებულება უთუოდ კარგ შედეგს გამოიღებს.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლება სახალხო განათლების ერთ-ერთი განუყოფელი და ძირითადი ნაწილია, ამავე დროს, იგი რესპუბლიკის

წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. დამტკიცდა ახალი სასკოლო რეფორმა. ამჟამად, ბუნებრივია, ინჟინერ-პედაგოგთა მთავარი ყურადღება მიპყრობილია მომავალი სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვისკენ, რადგანაც ის არის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში რეფორმით გათვალისწინებულ მასშტაბურ ღონისძიებათა განხორციელების დასაწყისი.

რეფორმის იდეის მთავარი მიმართულებაა სწავლებისა და საწარმოო შრომის შეხამების საფუძველზე მოსწავლეთა შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება საყოველთაო პროფესიული განათლებით.


იდეა განსაზღვრავს საბჭოთა პროფესიულ-ტექნიკური სკოლის რეფორმით გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელების გზებს, რადგან სისტემის თითქმის ნახევარსაუკუნოვან საქმიანობას საფუძვლად დაედო სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შერწყმის ლენინური პრინციპი. სწორედ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საშუალო განათლებზე გადასვლის შემდეგ იშვა და დამკვიდრდა გამოცდილება შრომით სწავლებასა და აღზრდაში, რაც დღეს საყრდენ ძალადაა მიჩნეული რეფორმიდან გამომდინარე გარდაქმნათა სარეალიზაციოდ.

რეფორმის განხორციელების მთავარი საორგანიზაციო პრობლემების გადაწყვეტა ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება. ამიტომ დღეს დიდი ყურადღებითა და გულმოდგინებით ვსწავლობთ მისგან გამომდინარე საკითხებს, მუშავდება ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, ყოველი პრობლემა განიხილება არა მარტო რეფორმის მიზნების დრმა ანალიზის საფუძველზე, არამედ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში დაგროვილ გამოცდილებათა გათვალისწინებით.

რეფორმა მოწოდებულია, შექმნას ყველა საჭირო წინამძღვარი იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რომლებიც გამომდინარეობს პარტიული და ზემდგომი ორგანოების დადგენილებებიდან. ეს კი დიდ ამოცანებს უყენებს იმათ „ვინც სწავლობს და იმათაც, ვინც ასწავლის“.

პროფტექნიკური სკოლებისათვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს არასრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-დამთავრებული ახალგაზრდების ხარჯზე მოსწავლეთა კონტინენტის გაორკეცება. ეს სახელმწიფო დავალება დაფუძნებულია რეალურ პირობებზე. იგი მნიშვნელოვნად ამაღლებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პრესტიჟს, განამტკიცებს მის მატერიალურ ბაზას, გააუმჯობესებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ახალგაზრდობის მუდმივად მზარდი ნაკადის მოზიდვას პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, აგრეთვე ხელს შეუწყობს საზოგადოებრიობის ერთიანი აზრის შემუშავებას იმის თაობაზე, რომ სწავლების შერწყმა საწარმოო შრომასთან მოზარდთა აღზრდის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა.

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემისათვის მოსწავლეთა კონტინენტის ერთიორად გაზრდის რეა-



ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია.

პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში თითოეული მუშის მომზადებისათვის სახელმწიფო ყოველწლიურად 900 მანეთს ხარჯავს. აქ იქმნება საბაზო საწარმოების ეკონომიკური პოტენციალი, რომლის რეალიზაცია ხდება მალაზიური, ეფექტური შრომის შედეგად. ეს პოტენციალი ყალიბდება ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული ცოდნის შერწყმით.

დღეს სისტემაში თოთხმეტი ათასი ინჟინერ-პედაგოგი და თანამშრომელია. ისინი გარემოსილი არიან ახალი სასკოლო რეფორმიდან გამომდინარე. პარტიისა და მთავრობის დიდი ყურადღებითა და ზრუნვით, მთელ თავიანთ ძალებს ახმარებენ ახალგაზრდა მუშათა კადრების აღზრდის ამ საამაყო საქმეს. მათი ყურადღება მიმართულია მოსწავლეთა მიერ რთული სამუშაოს შესრულებით სასარგებლო პროდუქციის გამოშვებაზე, პროგრამირებისა და მიკროელექტროგამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების კურსის სწავლებაზე, მიკროპროცესორული ტექნიკის ათვისებასა და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ერთიანი სასკოლო დონის უზრუნველყოფაზე.

ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა პრაქტიკულად გამართლებულია. თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ტექნიკუმში ტარდება ექსპერიმენტები: კურსდამთავრებულს, რომელიც პროფესიასთან ერთად მიიღებს ფსიქო-პედაგოგიურ ცოდნას, უფლება ეძლევა. სწავლა გააგრძელოს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსზე.

სავსებით გამართლებულია, რომ სასკოლო რეფორმის შესაბამისად უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ის კურსდამთავრებულები, რომლებიც მუშაობენ წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში და გააჩნიათ პედაგოგიური მუშაობისადმი მიდრეკილება.

ეს კონტინგენტი უთუოდ შეძლებს ნაყოფიერ შრომას იმ სასწავლებლების საკეთილდღეოდ, სადაც ისინი აღიზარდნენ. სწორედ ასეთ სპეციალისტებზე ვამყარებთ იმედებს.

რეფორმით გათვალისწინებულია აგრეთვე სისტემის ინჟინერ-პედაგოგთა რეზერვის შექმნის ისეთი კარგი საშუალება, როგორცაა უმაღლესი სასწავლებლების საღამოს ან დაუსრულებელ განყოფილებებზე პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულ იმ ახალგაზრდობის უკომოდოლო (გასაუბრებელი) ჩარიცხვა, ვისაც აქვს საშუალო განათლება და მუშაობის არანაკლები ერთი წლის სტაჟი.

სასკოლო რეფორმა მოწოდებულია, უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაახლოება. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების გაუმჯობესება, საყოველთაო პროფესიული სწავლების შემოღება, პოლიტექნიკური სწავლების გაძლიერება, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების დონის ამაღლება შესაძლებელი იქნება ორივე სისტემის შეთანხმებული და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად.

საქართველო პირველი რესპუბლიკაა, სადაც ყველაზე ადრე მთლიანად განხორციელდა საშუალო განათლებით კვალიფიციურ მუშათა კადრების მომზადება. ამ დონის მიხედვით განაპირობა სისტემის ავტორიტეტის გაზრდა.

ამჟამად ჩვენი და განათლების ორგანოების ურთიერთობის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა. დღეს საყოველთაო პროფესიული სწავლების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფტექნიკის სისტემის ნაწილობრივად გამოცდილებას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გახდება არსებითი საყრდენი შრომითი აღზრდისა და სწავლების ორგანიზაციისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფტექნიკისათვის სისტემის ერთიანი სახელმწიფო მიზნები დღითიდღე ფართოვდება. ახლახან ჩატარდა ერთობლივი პედაგოგიური კითხვები თემაზე „შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის პრობლემები“.

აქედან გამომდინარე, საყოველთაო პროფესიული სწავლების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშავა ღონისძიებათა სისტემა, რეფორმაში წამოყენებული ამოცანების შესრულებას რომ ისახავს მიზნად.

პედაგოგების დაწყებამდე სასწავლებლები დაათვალიერა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 150-ზე მეტმა დირექტორმა. პროფტექნიკისათვის ბაზაზე ჩატარდა სექციური მუშაობები. ამას გარდა, პროფტექნიკისათვის სამეცნიერო-მეთოდური ქვედანაყოფები დაეხმარებოდნენ სკოლებს შრომითი სწავლების პროგრამების შექმნასა და მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებაში.

საყოველთაო პროფესიული სწავლების განხორციელება გამოიწვევს სკოლებში საწარმოო დარგში სასწავლო ნაწილის გამგის სამტატო ერთეულის შემოღებას. იგი თავისი მუშაობის შინაარსით პირდაპირ დაუკავშირდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, საწარმოო სწავლების ოსტატთა გამოცდილ კოლექტივებს და წარმართავს სასწავლებლის ბაზაზე სკოლის

მოსწავლეთა შრომით სწავლებას. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სასწავლებლების დაკომპლექტებას ელემენტარული შრომითი ჩვევების მქონე მოსწავლეთა კონტინგენტით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა ერთობლივად გადაწყვეტენ ისეთ საკითხებს, როგორცაა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, სასწავლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების დახვეწა, ცოდნისა და უნარის ოპტიმალური მოცულობის აუცილებელი განსაზღვრა და ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს რეფორმის შედეგების აქტიურ იდეას.

აქვე თვალნათლივ წარმოჩინდა პედაგოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და პროფტექნიკისათვის სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრს შორის ერთობლივი მუშაობის საინტერესო პერსპექტივები, ისინი უთუოდ დიდ წვლილს შეიტანენ მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ფართო პროპაგანდისა და დახერგვის საქმეში.

რეფორმა სახავს მრავალ პერსპექტიულ ამოცანას, რომელთა წარმატებით განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ორგანიზებულად იქნება განხორციელებული სამეცნიერო პროგნოზირება და დაგეგმვა.

სავსებით კანონიერია, რომ არსებულ ეტაპზე უფრო მჭიდროდ გახდა ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკის კვლევით ინსტიტუტსა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანოებს შორის. ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, სადაც რეფორმის შუქზე განიხილეს სისტემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები. გაფართოვდა კავშირი სხვა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებთანაც. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია და მისი სამეცნიერო ქვედანაყოფები ჩვენი სისტემის ერთგული მოკავშირეები გახდნენ. მათი დახმარება და მხარდაჭერა ახალგაზრდა მუშების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში სავსებით შეესაბამება სამეცნიერო პრობლემების სადღეისო მოთხოვნებს.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა იდეებში ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა თაობისა და მათი აღზრდელ-მასწავლებლებსა და პარტიისა და მთავრობის უდიდეს ზრუნვას.

სისტემის მრავალათასიანი კოლექტივი ძალასა და ცოდნას არ დაიშურებს სასკოლო რეფორმით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესასრულებლად.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (571) ივლისი. 1984

უფრანალი გამოდის 1928 წლიდან

უფრანალი გამოდის 1928 წლიდან
უფრანალი გამოდის 1928 წლიდან
უფრანალი გამოდის 1928 წლიდან

მთავარი რედაქტორი სება ბერუაშვილი

საპარტოველო კვ. ც. ი. ნ. ბაგრატიონის ქ.

© „დროშა“, 1984 წ.

სარედაქციო კოლეგია:

- გულნარა ბახტაძე (პ/შ. მღვიანი), ნათელა ზიორაშვიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ლურჯიანი, ვახტანგ ენაზაძე, ოთარ თურქია, დინარ ნოღია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ამ ფოტოზე ალბეჯილია პარტიულ და კომპარტიულ ვეტიარან ქალთაერთი ჯგუფი (პირველ რიგში), რომელიც „საქართველოს ქალის“ რედაქციისა და რისპუბლიკური

ქალთა საბჭოს მოწვევით შეიკრიბა შურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში. შეკრების გოლო დღე. მთაწმინდაზე. 1970 წელი.

პატივცემულო ამხანაგებო!

თქვენი ძმობილი ჟურნალი „დროშა“, რომლის რედაქციაც, სიმართლე რომ ითქვას, მეტწილად ქალთა პერსონალიზაციან შედგება, დიდი სიყვარულით მიესალმება ორდენოსან ჟურნალს — „საქართველოს ქალს“, მიესალმება და სულითა და გულით ულოცავს დაბადების 60 წლისთავს!

ამბობენ და სამართლიანადაც: ქალი იმდენი ხნის არის, როგორადაც იგი გამოიყურებაო. ჟურნალი „საქართველოს ქალი“ კი ისე გამოიყურება, როგორც საქართველოს ადრეული გაზაფხული, მშვენიერი და მიმზიდველი. ასე რომ, იგი სრულიად ახალგაზრდაა და, არ გვეჩვენება, ასეთი დარჩება მუდამ.

თქვენც ვარდობისთვის ეს ახალგაზრდული იერი გქონოდეტ მუდამ, ძვირფასო იუბილარებო, „საქართველოს ქალის“ მესვეურებო და თანამშრომლებო!

ამ სიტყვებით მივმართავთ ჩვენს ძვირ-

ფას მეგობრებს — მარია ბარათაშვილს და ნანული ცაგარეიშვილს, ეთერ ჯაფარიძეს და ლია კაკაბაძეს, ნაზი კილასონიას და ცინარა ტერეღაძეს, ირმა ჩოფიკაშვილსა და ოლა რევიას...

გვახარებს და გვეამაყება თქვენი ყოველი შემოქმედებითი წარმატება, მეგობრებო!

ბევრი ისეთი ნომერი მიგეძღვნათ მკითხველებისათვის, როგორც თქვენი საიუბილეო ნომერია;

ბევრი გქონოდეტ ისეთი ჟურნალისტური გამარჯვება, როგორც არის თქვენი ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული „ინტერვიუ საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკ ქალებთან“, სადაც ჩვენი სახელოვანი ქალების მთელი პლეადის — ნელი გურგენიძის და ბელა მაყაშვილის, ნანი გუგუნავას და იულია ტუხოვას, ნანული კაკაურიძის და მელეა მეზერიშვილის, ნათელა ლაღიძის, ლია ლომიძის და მერი

ფაჩუაშვილის ცოცხალი პორტრეტებია დახატული;


ყოველთვის ისე მკაფიოდ და თანმიმდევრულად გააშუქეთ ხალხთა მეგობრობის უკვდავი თემა, როგორც ამჟამად აშუქებთ;

მარად ასეთი ერთგულებით, მონდობებითა და თავდადებით ემსახურეთ ხალხის, ქვეყნის, პარტიის საქმეს;

როგორც ახლა, არ დაგვიწყებოდეტ წლების მანძილზე მშობლიურ სახელებად ქცეული ადამიანები და თქვენს კეთილმზერას არ გამოჩინოდეტ ახალი გმირებიც ჩვენი დროისა.

გაუმარჯოს „საქართველოს ქალს“! დიდება მის უპირველეს გმირებსა და მკითხველებს — ჩვენი რესპუბლიკის მშვენიერ ქალებს!

შურნალ „დროშის“ რედაქცია.



„ჩვენი სოფელი ლეხოური საუკეთესო ადგილად ითვლება ზოდა გურიში თავის მდებარეობით, ჰავით, ძველი, კარგად დაცული ციხით, ეკლესიებით და მათში შემონახული სიძველეებით“ — წერდა უკვე ხანდაზმული ექვთიმე თაყაიშვილი.

ლიხაური ამჟამადც ერთერთი ულამაზესი სოფელია მახარაძის რაიონში. მის შუაგულში კვლავც ბურჯად აღმართულა მძიმე წარსულის უტყვი მოწმე ბერძუხა, ზვიადი ციხე, ძველებური სიდიადით დგანან აჭარა-გურიის უბერებელი მთები, მიდამოს აცოცხლებს მდინარე ჩოლოჭი. მხოლოდ ახალი შინაარსი შეიძინა სოფელმა. ამ ფონს ორგანულად შეერწყა მისი ლეიძლი შვილის, ქართული მწერლობის, კულტურული ძეგლების თავდადებული მოჭირბახულისა და მკვლევარის ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლი (მოქანდაკე ანზორ გომართელი, არქიტექტორი რობერტ გოგლიშვილი), შინამოუსკვლელთა მემორიალი, გურულ გლეხთა წელში გამართული, მოვლილ-დაწკრილებული ოდეები.

ღიას, სოფელ ლიხაურში დაიბადა კაცი-საოცრება, რომელიც შემდეგ მთელი საქართველოს სიახაყე გახდა. მან უღრან ტყეებსა და მიუვალ კლდეებში შემალული მრავალი მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტერი გახადა მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი. ბევრ ეპიგრაფიკულ ძეგლს ახადა ბურუსის მძიმე ფარდა, ხალხური ლექსი თუ თქმულება გადაურჩინა თავის ერს.

...ყველაფერი კი 1889 წლის 17 თებერვალს დაიწყო. მაშინ დიმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილი პირველად წავიდნენ ერთად მცხეთაში და სვეტიცხოვლის ხელნაწერები ჩამოიტანეს საეკლესიო მუზეუმისათვის. სწორედ დიმიტრი ბაქრაძის, სახელგანთქმული ისტორიკოსისა და არქეოლოგის, შესანიშნავი პიროვნების სახელთან არის დაკავშირებული მისი პირველი ნაბიჯები, ამას მოჰყვა მტკიცე გადაწყვეტილება: რაღაც არ უნდა დაუჭდეს, დაღუპვისაგან იხსნას ძეგლები, რაც შეიძლება მეტი გამოამზეუროს, მისაწვდომი გახადოს მკვლევართათვის.

და იგი ძალ-ღონეს არ ზოგავდა „იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ

დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ჯეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გავვიწყებდნენ იმ მართლაც დიდ კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიადწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

დიდი პატრიოტი პეტერბურგიდან სამშობლოს დაუბრუნდა როგორც მასწავლებელი. მთელი სიცოცხლე კი შესწირა ხუროთმოძღვრული ძეგლების, საეკლესიო ნივთების, ხელნაწერების შესწავლას. ეს მოხდა მაშინ, როცა მიხვდა, რომ „ისინი ნელ-ნელა ხელიდან გვეცლებოდნენ და შემსწავლელი კი აღარავინ ჩანდა“.

საქართველოს ხომ შარავანდედად ადგას ეროვნული განძის გადარჩენისათვის დახარჯული მისი წამებული წლებიც...

კონსტანტინე გამსახურდია შემთხვევით როდი ამბობდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილ წერილში: „მხოლოდ იმ მეცნიერსა და მწერალს სცემს თაყვანს ქართველი ხალხი, ვინც თავის მოღვაწეობაში მამულიშვილურ პოზიციებზე იდგა. ყოველივე მეცნიერება, ყოველგვარი მწერლობა უსახშნოა, თუ ეს ყოველივე კეთილი ზრახვებით არაა გასწავლენებული. ხალხი შეუმცდარი მისანია თავის მოღვაწეთა შეფასებაში და ნურვის ეგონება, მე დიდი მოღვაწე ვარ და პატრიოტიზმი რა ბედენაო“.

ამ სიტყვების არსი და ჭეშმარიტება ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა ზნეობრივი გმირის უკვდავების დღესასწაულზე, რომელიც 9 ივნისს გაიმართა მახარაძის რაიონში. ეს ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი მიეძღვნა ექვთიმე თაყაიშვილის სახელს.

...გურია მოწყენილი და ულაზათო არასოდეს არავის უხილავს. საქართველოს ამ კურთხეულ კუთხეში ხომ პირდაპირ ციდან იღებს სათავეს მწვანე ფერი, მთისა თუ ქედის დახვეწილი ფორმა, ყოველი გზა და ბილიკი... მაინც განსაკუთრებული იყო იმ დღეს ყოველივე, გურულების სტუმართმოყვრული გულის ნათელი სხივი დაჰყვებოდა. აქ იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, მეცნიერები, მწერლები, კულტურის მუშაკები.

ყველაფერი ლამაზი და ზეაწეულია: მე-18 არმიის საბრძოლო დიდების რესპუბლიკური მუზეუმი, რომელიც დიდი თანამემამულის, გამოჩენილი მხედართმთავრის კონსტანტინე ლესელიძის სახელთან არის დაკავშირებული, ბუჟუსა და აკიშას ნაპირებზე გაშლილი წარმტაცი შემოქმედი თავისი უძველესი მონასტრითა და მუზეუმითა სიმრავლით, „ზახვის მანიფესტის“ მემორიალური კომპლექსი, გმირთა მოედანზე გამართული მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოთქვამს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკაკი სურგულაძემ, პროფესორებმა ალექსანდრე ლლონტმა, აკაკი ვასაძემ, იოსებ მეგრელიძემ, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა...

„ზეიმის ყველაზე ამოღებულ წუთები მაინც დიდი მამულიშვილის მშობლიურ სოფელშია. ყვავილებივით გაშლილან მოედანზე ბავშვები, მარადიული ცეცხლის ენები მზის სხივებში იფანტება და მომავლის იმედად აღიქმება ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საშუალო სკოლა...“

მიტინგს ხსნის პარტიის მახარაძის რაიონის პირველი მდივანი ოთარ თენგიშვილი. სიტყვებს წარმოსთქვამენ მწერალი გურამ ფანჯიკიძე და პროფესორი გურამ შარაძე. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჩერქეზია საბურველს აცლის მარმარილოს ფილას, რომელსაც აწერია: „აქ აიგება ექვთიმე თაყაიშვილის მემორიალური მუზეუმი“.

სტუმრებიც და მასპინძლებიც აჭის ხეობისაკენ მიდიან. იწყება თითქმის ორკომეტრიანი გზა... მოედინება ჩქარი აჭისწყალი, ელამუნება ვეება ლოდებს, ხავსიან ნაპირებს. ჭეშმარიტად უთქვამს ხალხს: „აჭის წყალი ანკარაო“. ბროლივით გამჭვირვალეა იგი და ყინულივით ცივი. აქ ისე წარმტაცია ყველაფერი, სტუმრებს უჭირთ გარკვევა, რა უფრო იტაცებთ, ბუნების განუმეორებლობა თუ მასპინძლების ჭეშმარიტად შემოქმედებითი ჩანაფიქრი — სანოვაგით დატვირთული ურმები, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ გურულ გლეხთა დიდ ლოდზე გაშლილი სუფრა, ფერდობზე შეფენილი მეჩაიე ქალიშვი-

ლების ტკბილი სიმღერა, საზეიმოდ მორთული ბავშვების ნაირფეროვნება...

აი, ბოლო აკორდიც — ბორცვზე აღმართული აჭის წმინდა გიორგის ეკლესია, მეცამეტე საუკუნის უმშვენიერესი ძეგლი, თავისი ქვის გალავნით, გასაოცარი ფრესკებით, უძველესი წარწერებით...

თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილის აქტიურმა მონაწილეობამაც გადაწყვიტა მუსიკოს ფილიმონ ქორიძის მივლინება გურიაში მოხუც მომღერალთაგან უნიკალური, ძველისძველი საგალობლების ჩასაწერად. ასე შეიქმნა ძვირფასი ფონდი. მახარაძელები დღესაც სათუთად უფრთხილდებიან თავიანთ მუსიკალურ ტრადიციებს, რამაც თავისებური იერი მისცა დღესასწაულს. ამ დღეებში კარგად გამოჩნდა რაიონის მაღალი კულტურული დონე. სხვაგვარად არც შეიძლება. აქ ხომ საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური შეჯიბრების ახალ სახეს, რომელსაც გულისყურს არ აკლებს მახარაძის პარტიის რაიონკომი. ერთმანეთს შრომით ევაიქრებიან სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, მათ შორის არიან კულტურის მუშაკებიც.

ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ მახარაძის რაიონში 1977 წლიდან ტარდება მუსიკალური ფესტივალი „გურიის გაზაფხული“. მასში გურიის რაიონების, აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებთან ერთად უკრაინელი და ბელორუსი შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ. ეს ხომ ხალხთა დაახლოების საუკეთესო საშუალებაა.

წელს, 9 მაისს, ამ ფესტივალზე მონაწილეობდა მახარაძის 47 მუსიკალური თვითმოქმედი კოლექტივი, 2761 შემსრულებელი. თავი ისახელა ოცზე მეტმა საკლუბო დაწესებულებებთან არსებულმა ვოკალურმა ჯგუფმა და სკოლების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა.

ამჟამად რაიონში ემზადებიან საბჭოთა ხალხის სამამულო ომში გამარჯვების 40 წლის-თავისათვის. ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარდება ზონალური და რაიონული დათვალიერებები. მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და წარმოება-დაწესებულება.

წელს პლანტაციის გასულ მშრომელებს მოემსახურება 26

თვითმოქმედი კოლექტივი, 12 აგტივობის ბრიგადა, მრავალი ბიბლიოთეკა, მათ შორის ორი მოძრავი.

...მხარაძის რაიონში ჩასულ კაცს უმაღლეს კულტურულ დაწესებულებათა სიმრავლე მოხვდება თვალში. რომ არაფერი ვთქვათ კეთილმოწყობილ ბიბლიოთეკებზე, კლუბებსა და კულტურის სახლებზე, აქ ოცამდე მუზეუმი, მათ შორის 14 საზოგადოებრივ საწყისებზე.

მხარაძელები თვალისჩინივით უფროხილდებიან წარსულს, თვითონაც ესათუებიან, სხვასაც თვალნათლივ აჩვენებენ, რა საბრძოლო, კულტურული, შრომითი ტრადიციები აქვს რაიონს.

იმ ადგილზე, სადაც გურულმა გლეხებმა კუდიტ ქვა ასროლინეს მეფის ჯარის ნაწილებს, ახლა მშვენიერი ობელისკია აღმართული. ნასაკირალის ბრძოლა მუდამ საამაყოდ დარჩება ისტორიას. ამ ობელისკის შინაარსობრივ გაგრძელებას წარმოადგენს ძიმიითის ცხათავას მთაზე აგებული 1905 წლის რევოლუციის მუზეუმი.

მდიდარი, შინაარსიანად დალაგებული ექსპონატები ნათლად გამოხატავს გურიის აჯანყების მიზეზებს, მის სულსა და მამოძრავებელ ძალებს. მერე თანდათან გრძელდება ისტორია და მნახველს თვალწინ ეშლება სოფლის მთელი წარსული და დღევანდელი დღე.

1905 წლის გურიის აჯანყების მოთავე დათიკო შევარდნაძის პირით უთქვამს ერთ ხალხურ მთქმელს:

„ეკალს მისთვის ძირს ვუთხრიდი, რომ ხალხს დავეფინო ვარდათ“.

ამ თავგანწირვას აფასებს დღევანდელი თაობა.

გურიანთა თურმე შუაგულ გურიას ნიშნავს. ამ საინტერესო ისტორიის სოფლის სიამაყეს დღეს მემორიალური მუზეუმიც წარმოადგენს, რომლის თითოეული ოთახი გურიანთას ცხოვრების ერთი დასრულებული პერიოდია. მისი დასაწყისი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნეოლითის ხანის ექსპონატებია, დასასრული — საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის აკადემიკოსების მუზეუმისადმი მიძღვნილი საჩუქრები. არ არის დაფიქსურებული სოფლის არც ერთი მოამაგე და თავკაცი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე. საბრძოლო დიდების დარბაზში უემოგვევებება შინმოუსვლელთა სალოცავი სახეები. 119 შინმოუსვლელი, 119 ხარი... მათი ფრონტული ბარა-

თები... სოფელმა ხომ ორი საბჭოთა კავშირის გმირი აღზარდა — პორფირე ჩანჩიბაძე და ვასილ კვაჭანტირაძე.

მუზეუმს აქვს ეთნოგრაფიული ოთახი. აქ ფაქიზად გაუწყვიათ აკვანი, ფარდაგები, გურული გლეხის ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელი ნივთები, რომლებიც დღეს იშვიათობას წარმოადგენს.

თითოეულ ოთახს თავისი შესაფერისი მუსიკა აქვს შერჩეული. ეთნოგრაფიულ ოთახში შაშვის გალობა და ბავშვის ტირილი ისმის...

გურიანთა მამაყობენ თავიანთი თანასოფლელებით, რომლებიც დღეს მეცნიერების სხვადასხვა დარგში მოღვაწეობენ. მათ შორის არიან პროფესორები გურამ შარაძე და კონსტანტინე ტოტოჩავა.

მომავალი ალბათ უფრო გააფართოებს მუზეუმის კედლებს.

მხარაძის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ვასილ ჩიგოგიძე რაიონის მკვიდრია. დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. დოდო ალექსიძის მოწაფე ერთ-ერთი იმთავანია, ვინც საფუძველი ჩაუყარა მეტეხის თეატრს.

პირველი, რითაც ვასილ ჩიგოგიძემ შუშაობა დაიწყო, ეს იყო სტუდიის შექმნა. გადაწყვეტილება სწორი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა. მომავალ წელს იმათგან უკვე ექვსი კაცი ინსტიტუტდამთავრებული დაბრუნდება.

სტუდიის ხელმძღვანელი ახალგაზრდა რეჟისორი სულიკო კიკვიძია. პედაგოგები — გამოცდილი მსახიობები. დროდადრო ჩამოჰყავთ მოძრაობისა და მეტყველების სპეციალისტები. ისვეწება ახალგაზრდების ოსტატობა.

შეკითხვაზე, რა პრობლემების წინაშე დგას იგი, როგორც თეატრის ხელმძღვანელი, ვასილ ჩიგოგიძემ გვიპასუხა:

— პასუხისმგებლობა დიდია. ვმუშაობ თეატრში, რომელსაც თითქმის ასოცი წლის ისტორია აქვს. მასთან არის დაკავშირებული ჩვენი სათაყვანო სახელები: ალექსანდრე წუწუნავა, ლადო მესხიშვილი, სანდრო ჟორჯოლიანი, სესილია თაყაიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი... ეს არის კოლექტივი, რომლის წინაპრებმა ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თურქების თარეშის დროსაც კი არ შეწყვიტეს ქართული სპექტაკლების დადგმა. არც სამამულო ომის მძიმე დღეებს შეუშინდნენ მისი სცენის ფანატურად მოყვარე მსახიობები. მე მიყვარს ჩემი



საქართველოს კ მხარაძის რაიონის პირველი მდივანი ოთარ თანაშვილი, მწერალი გურამ ფანჯიბაძე და არქიტექტორი ოთარ კალანდარიშვილი ესაუბრებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ოთარ ჩარაძეს.



ზეიმის მონაწილენი.

ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელში.



თეატრი, მისი წარსული და აწმყო. მინდა, ახალგაზრდობა გამოჩნდეს, ვქმნით სპექტაკლებს სტუდიელების მონაწილეობით. ხშირად ვიწვევთ დიპლომანტ რეჟისორებს, სტუდენტ მხატვრებს, კომპოზიტორებს.

მანხარაძის სახელმწიფო თეატრს დღეს კარგი ძალები ჰყავს: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები რომან ლომინაძე და გაბრიელ მდინარაძე, ამირან ქაღვიშვილი, გივი ახმეტელი, ზაირა თოთიბაძე... ახალგაზრდები: ბელა კიკვაძე, ვალერიან კანთელაძე, ლელა მახნიაშვილი...

• • •

— შენ დაგელოცოს, შვილო, მარჯვენა, შენ გაუმრავლდი დედას, სიცოცხლე და სიხარული შენს შვილებს ჩემი შვილის გადარჩენისათვის; ყველა დედის ვახარებისათვის. — თითქოს თავისთავს ელაპარაკება შუა ხნის ქალი თა სიხარულის ცრემლი ღვარად ჩამოსდის ნაჯაფ სახეზე.

— რა შეგეძინათ, ბიჭი თუ გოგო? — მღელვარებას ვერ ფარავს შვილის მომლოდინე ახალგაზრდა კაცი.

— ტყუპი ქალ-ვაჟი... ამ ათიოდე დღის წინ, — თავსაფარს ისწორებს დედა, — უკვე შინ ვიყავით, კარგად ვერ მოვუარეთ და... ხელმეორედ მოსაბრუნებელი გამიხდა საავადმყოფოში. სამი ღამეა, თვალი არ მუხუხუჟავს ექიმს...

— აბა, ალექსანდრე ბარანკოვის სახელს მთელი მანხარაძე, ჩონატაური და ლანჩხუთი ტყულე კი არ ფიცულობს. ამბობენ, ახალი მეთოდით აკეთებსო ოპერაციას, — სიტყვა ჩაურთო ქალმა ცემენტის კიბეზე გაზეთი რომ დაეფინა და ისე მოკალათებულ-იყო, ვგონებ, ღამის გათევასაც იქ აპირებდა.

რაკი გატყდა ღუმილი და სიტყვა დაიძრა, რაღა შეაკავებდა...

— გახსოვთ ჩვენი დანგრეული სამშობიარო სახლი?

— ვინ ეკარებოდა აქაურობას სათოფეზე, სულ სხვა რაიონში იბადებოდნენ მანხარაძელები.

— როგორც კი მოვიდა, მა-

შინვე რემონტზე დააყენა საკითხი.

— ოთხ თვეში ყველაფერი მზად იყო. მერე როგორ მოაწყო საოპერაციოები, პალატები...

— წელიწადში 120 ოპერაციას აკეთებსო, მართალია? მერე რა აპარატურა შეუძენიათ, უკეთესი აღარ არსებობსო.

დიდი სიმართლე ხალხშია. როცა რაიონული საავადმყოფოს სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგის ალექსანდრე ბარანკოვის უბრალოდ მოწყობილ კაბინეტში შევედით, მის შესახებ ზოგი რამ უკვე ვიცოდით...

— მე რას შევძლებდი, — გვეუბნება ალექსანდრე ბარანკოვი, — რაიონის ხელმძღვანელობა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო რომ არ შენმარებოდნენ. ხალისსა და ძალას მმატებს ის, რომ მანხარაძის რაიონის თავკაცების ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავია დემოგრაფიული პრობლემა. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, პატივცემული ოთარ თენგიშვილი ყოველდღიურად გვთხოვს ცნობებს ახალშობილთა შესახებ და ბავშვივით ხარობს, როცა ნამატის მაჩვენებელი იზრდება...


არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, როცა ექიმს სიყვარულით აღფრთოვანებული თვალებით უყურებენ პაციენტები. ჩვენ ვხანეთ, როგორი ნდობით უცქერიან თვალებში ალექსანდრე ბარანკოვს, როგორც კი შეაღებს პალატის კარს. ჩვენ ვხანეთ, როგორ სჯერათ მისი ექიმებს, მთელ სამედიცინო პერსონალს, ისიც ვიგრძენით, რა პატივისცემით ეპყრობა იგი იმ ადამიანებს, რომლებიც სისუფთავესა და სიმყუდროვეს ქმნიან იმ სამსართულიან შენობაში, სადაც სიცოცხლე იბადება.

საამაყო, რომ მანხარაძის რაიონის ბუნებას ღამაში ცხოვრებაც ერწყმის, შინაარსიანი, ლაზათდადევნებული. კეთილი საქმე და გული ნუმც მოშლოდეს ამ ღვთის სავანეს.

ნათელა გიორგოზიანი,
„დროის“ სამედიცინო კორესპონდენტი.




▲ მომღერლები — ძმები მამულაიშვილები.



▲ კონცერტი ციხკვეშ.

▼ გზა დაგელოცოთ!

ჩონგურის ოსტატთან.





ასე ვინაუ...

სასოფლო-სამეურნეო არტელს თავისი წესდება აქვს. ამ წესდებით არტელის თავკაცი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე უნდა აირჩიოს და, როცა საჭიროა, — გადაირჩიოს.

ასეა!

ასეა და მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამირან ვაშაყმაძე ვერ იქნა და ველარ გადაირჩიეს.

— რის გულობიზა უნდა წვეიდეს აი კაცი ჩვენი კოლმეურნეობიდან?!

— ვერ გუუძღვა საქმეს თუ?!

— არ გადავირჩევთ!

— აქანეც იყოს და იქინეც!

ხალხით გაჭედვით დარბაზი ჩოჩქოლებდა.

აქეთ, გამოდებულ სარკმელთან ჩამოვდარი კოლმეურნეობის ეკონომისტი ციალა სტეფანია ოხრავდა. იქით, ვილაცა რალაცა გაიძახოდა. მეჩაიეთა ბრიგადირს დავით კოპლატაძეს თავი მიელო და შეფარვით იმშრალეობდა თვალზე მომდგარ კურცხალს...

ვერ იყო საქმე კარგად.

მეზობლად, თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით, გურიანთის ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა რამდენიმე თვე უთავკაცოდ იყო დარჩენილი.

დრო აღარ ითმენდა. ჩამორჩენილ კოლმეურნეობას გამოცდილი თავკაცი სჭირდებოდა.

გამოცდილი და უნარიანი თავკაცი კი ამირან ვაშაყმაძე იყო. აი ეს საშუალო ტანის, მორიდებით თავდახრილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ახლა კოლმეურნეობის საერთო კრებას უნდა გადაერჩია და ველარ გადაირჩია.

დარბაზი ისევ ჩოჩქოლებდა.

და მაშინ, როცა ოთარ თენგიშვილმა გვერდით ჩამომჯდარ მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მაყვალა ჟღენტს რალაცა გადაულაპარაკა, ჩაახველა და წამოდგა — ყველა გაირინდა.

— გინდათ, გადაირჩიეთ. გინდათ, ნუ გადაირჩევთ. ნება თქვენია. ჩვენ მხოლოდ წინადადებას გთავაზობთ.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ თენგიშვილი ხმადაბლა საუბრობდა. დინჯად, გულითადი ხმით სათქმელს, როგორც ყოველთვის, ნათლად და ლაკონურად გამოთქვამდა.

— თქვენი კოლმეურნეობა მუხლმავარია. გურიანთას უჭირს. ვისაც უჭირს — იმას უნდა დავეხმაროთ. საერთო საქმისთვის, ვფიქრობთ, ასე უკეთესი იქნება...

მოსაუბრე შეჩერდა. კარგა ხანი იყუჩა და უფრო ხმადაბლა იკითხა:

— მენდობით?

— ენდობოდნენ.

მოდო და ნუ ენდობი: საიმედო ხელმა მიიღო ესტაფეტა, რაიონმა კვლავაც დიდი გამარჯვებები მოიპოვა და 1983 წელსაც საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა დაიმსახურა.

● გაზაფხული გაჭირვებულა.

ჯერ ქარმა იშლევა. მერე გომის მთა ნისლით მოიჯანდა. ჩამოიბურა და კოქისპირულმა დასცხო.

ინვიმა და ინვიმა.

მოდოდა სკვიდომი. აიქორჩა. ზათქით შეასკდა ხვსმოდებულ ლოდებს.

დადგა საშველი. როგორც იქნა გამოიღარა. ცამ პირი გაიხსნა, ნისლი აიკრიფა, გაძენილი ღრუბლებიდან მზემ გამოიჭვრიტინა.

არ დაუხანებიათ.

როგორც კი მიწა შეშრა, შოთა ჩხაიძის სატრაქტორო ბრიგადის ბიჭები დაფაცურდნენ, გულა-ნაბადი აიკრეს და სოფლიდან შორს — ლეკიანის დაცემული ხოდაბუნებისკენ გაეშურნენ.

იმარჯვეს მექანიზატორებმა. ბელტი ბელტზე გადააწვინეს. ხნული თესლს ითხოვდა: ხნეს და თესეს, ხნეს და თესეს...

— ისევ გაავდრდება! — თავისთვის ჩაიდუდუნა ტრაქტორის საჭესთან მიმჯდარმა ზურაბ ლომთათიძემ და მოქუშულ ცას ახედა.

აგიხდათ სიკეთე!

სამუშაოს მოთავებას არც არა აკლდა, როცა ელვა გაკრთა. დაიქუხა. ღრუბლები შექუჩდნენ და წამოწვიმა.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — ქეროს ქექვით იკითხა ტრაქტორიდან გადმოშტარმა გალუმპულმა რევაზ ფასიაშვილმა.

— გამოდარებას დოვუცადოთ!

ბრიგადირი მართალს ამბობდა. ჭირვეულმა ამინდმა საგაზაფხულო სამუშაოები შეაფერხა. ნუთი ახლა მილიონად ღირდა. მექანიზატორებს, თუკი საჭირო გახდებოდა, ღამე აქ — ლეკიანის სანახებში უნდა გაეთენებინათ.

ქარი ნელ-ნელა ჩადგა.

ჩიტები აჟივყივდნენ. ის-ის იყო წვიმამ გადაიღო, რომ ძეძვიანის მიღმა, კორდის ზევით დაფერდებულ გზაზე თუხთუხით მომავალი მანქანა გამოჩნდა.

— თავმჯდომარის მანქანაა!

თავმჯდომარის იყო. — კაი გამარჯობა! — დასჭექა მანქანიდან თავგამოყოფილმა ამირან ვაშაყმაძემ და ხელის აწევით მიესალმა მექანიზატორებს, — როგორ არის საქმე?

არ იყო ურიგოდ.

თავმჯდომარე მანქანიდან გადმოვი-

და. ნახნავ-ნათესი დაათვალეირა. გაიღიმა, შემოირტყა დოინჯი და თქვა:

— საგზალი მოგიტანეთ. მეჩქარება... ერთად ვივასშმით და წავალ...

მუჯირებთან მიიჩქაროდა თავმჯდომარე.

აი იმათთან, სარაიონო თვითშემოქმედებითი კოლექტივების დათვალეირებაზე მთელი ოჯახი დედაბუდიანად რომ გამოვიდა. იმღერა. ყველა ალტაცებაში მოიყვანა და ჟიურის გადაწყვეტილებით, მახარაძის რაიონში პირველი ადგილი დაისაკუთრა.

— მუჯირებთან რა გნებავთ? — წადგა ბიჯი და თავმჯდომარეს რიდით შეჰკადრა ბრიგადირმა.

— კოლმეურნეობის მძლოს გულივერ მუჯირს ოთხი შვილი ჰყავს. ხომ კი?

— კი. მადონა, მაია, ქეთევანი და შორენა.

თავმჯდომარე დაიხარა. გალაფული ჩექმის ყელი შეისწორა, გაშლილ ხელისგულს ტკაცანით დაჰკრა თითები, გასწორდა და ამოშტარა:

— კანტორაში მელიოდებიან... მუჯირებმა გვასახელეს და ფერადი ტელევიზორი ვუყიდეთ საჩუქრად. დღეს უნდა მივართვათ...

ბინდებოდა.

ჩიტები ისევ ჟივყივებდნენ.

გაზაფხულმა იმარჯვა და გამოიღარა.

● გამოცდილებამ, ახლის ძიებამ, ხალხის გულში წვდომის მიმადლებულმა უტყუარმა ალღომ თავისი გაიტანა.

სოფელს ახალი თავკაცის ხელი დაეტყო.

მახარაძის რაიონის გურიანთის კოლმეურნეობამ ხუთწლედის მესამე სამეურნეო წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა.

ჯერ იყო და ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. არც მეციტრუსეებს დაუდვიათ ტოლი. თავდადებით იშრომეს და გეგმით გათვალისწინებული 240 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 460 ტონა მალახხარისსოფანი ციტრუსები ჩააბარეს.

სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში მწყემსებმაც ისახელეს თავი, მესიმინდებმაც...

ადრეული გაზაფხულის იმ გრილ საღამოს ამირან ვაშაყმაძე და კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ნოდარ კომახიძე მშრომელთა მატერიალურ წახალისებაზე მსჯელობდნენ, როცა კაბინეტის კარი უცნობმა ახალგაზრდა კაცმა შეაღო.

— გისმენთ! — მაგიდაზე იდაყვებით დაბჯენილ ხელებზე ნიკაპჩამოდებული თავმჯდომარე ახალგაზრდა კაცს მიატქერდა.



უცნობი დუმდა.

— ჩვენი თანასოფლელები, — ჩამონო-
ლილი სიჩუმე ბოლოს პარტიული კომი-
ტეტის მდივანმა დაარღვია, — ვალე-
რიან არობელიძე... რამდენი წელია,
სოფლიდან წავიდა...

— წავედი და ისევ მოვედი!

ახლად მოსული შეიმართა, თავმჯდო-
მარეს თვალი თვალში გაუსწორა და
გული ამოატანა მართალ სიტყვას:

— თქვენთან მინდა ვიმუშაო... იცო-
დეთ, არ შეგარცხვენთ!

ვალერიან არობელიძე მხარგაშლილ
სოფელში ამობრუნებული პირველი მერ-
ცხალი გახლდათ.

ეს ამბავი რამდენიმე თვის წინათ
მონდა.

ახალი მოდღევეული იყო.

მთელი სოფელი გაღმა-გამოღმა შე-
ფენილ ჩაის პლანტაციებს შესეოდა.

ასეა მუდამ: როცა მისჭირდება, თავ-
მჯდომარე იხმობს და ციხისფერდის,
ფაშნარისა თუ კახურას უბნებიდან ქუ-
დზე კაცი გამოიკრიფება მეჩაიეებისათ-
ვის ხელის წასახმარებლად.

მონმენდილი ამინდი იდგა.

კრიალა ცაზე ტოროლები დანავარ-
დობდნენ.

ნაირა მჭავიამ როგორც კი სიმღერა
წამოიწყო, მთაზე გაჭრილ ვიწრო გზა-
ზე გახვითული ბავშვები შემოქანდნენ
და ყიყინი დასცხეს:

— გვიშველეთ!

— სახლი იწვის!

— მერაბ მასწავლებლის სახლი!

იხუვლეს და გაქანდნენ.

როცა გაღმა-გამოღმა პლანტაციები-
დან სირბილით დაძრული ხალხი სო-
ფელში შევარდა — გურიანთის საშუა-
ლო სკოლის ფიზიკის მასწავლებლის
მერაბ კვერდელიძის სახლი უკვე ჩაქცე-
ულიყო და ნელ-ნელა იღველფებოდა.

— აუ! — შესძახა მერაბ კვერდელიძემ,

გახედა წასახლარს და პლანტაციიდან
გამოყოლილი სასხლავი ხელიდან ხელში
მოინაცვლა, — ყველაზე მეტად ჩემი
ბიბლიოთეკა მენანება!..

დასანანი, რა თქმა უნდა, სხვაც ბევ-
რი იყო.

თავმჯდომარემ იმავე საღამოს კოლ-
მეურნეობის აქტივის საგანგებო კრება
მოიწვია.

მთელი სოფელი მუშტვიით შეიკრა.

ტყუილად როდია ნათქვამი: ერთი —
ყველასთვის, ყველა — ერთისთვისო.

კოლმეურნეობამ, ჯერ იყო და, ამაგ-
დარი პედაგოგის ოჯახს ფულადი დახ-
მარება გამოუყო. ეზოში ხუთი ტონა
ცემენტი მიუზიდა, საჭირო ტრანსპორ-
ტი მიამაგრა.

მერე მიდგნენ: მოზიდეს მასალა, გათ-
ხარეს მიწა, ჩაადულაბეს ბალავარი,
იდურგლეს, იკალატოხეს, არც არა დაუ-
კლიათ...

ჩაის ფოთლის კრეფის გაგანია ორ-
ომტრიალი იყო და გახვითული თავ-
მჯდომარე მოცალეობას მაინც პოულო-
ბდა.

მივიდოდა. დახედავდა ამოყვანილ
კედლებს. გაესაუბრებოდა მშენებლებს.
აიკაპინებდა მკლავებს და, რაც შეეძლო,
თვითონაც აშველებდა ხელს.

— დედაია! — კვირობდა ამ ამბის
შემყურე ოთხმოცდაათ წელს მიტანე-
ბული ბებია ელიკო აროშიძე და გაო-
ცებული ირდილავდა შუბლზე ხელს, —
გინახავს, ბეჩა, ასეთი რამ?

— კი! — ახლა ას წელს მიტანებული
ბაბუა ილარიონ ზოიძე ირდილავდა
შუბლზე ხელს, — მინახავს, რავა არ
მინახავს. კაცი კაცი უნდა იყოს! ა, ასე-
თი, როგორიც ჩვენი თავმჯდომარეა.
გეიგონე ყურში, ცა?!

დიდი და შემძლე სოფელია გურიანთა.
კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები
270 ჰექტარზეა გადაჭიმული. ციტრუსე-
ბი 79 ჰექტარზე გაუშენებიათ.

ახლახან მწყობრში ჩადგა მეცხოვე-
ლეობის კეთილმოწყობილი კომპლექსი.
კოლმეურნეებმა კრასნოდარიდან 200
სული ველის წითელი ჯიშის ძროხა შე-
მოიყვანეს, ჰყავთ ხბორები, მოძმე რეს-
პუბლიკებში შეძენილი დედალორები.

პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბა-
ზის შესაქმნელად გურიანთაში 60 ჰექ-
ტარი გამოყვეს.

ამ ფართობზე თესავენ სიმინდს, ძირ-
ხვენებს, სხვადასხვა სასილოსე და სასე-
ნაჟე კულტურებს.

პირველმა წარმატებებმა უკვე იჩინა
თავი.

კოლმეურნეობა საკუთარი რძითა და
ხორციით ამარაგებს სოფლის ბავშვთა
ბაგებს.

საკუთარი რძით, სულ მალე, მთელი
სოფელი იქნება უზრუნველყოფილი...

დილაა.

გომის მთაზე მზე იმაღლებს.

ჩაის პლანტაციებს კარგა ხანია ჩა-
ლისქუდიანი მკრეფავები შესევიან.

წელს მათ დიდი ამოცანა აქვთ გადა-
საჭრელი: უნდა მოკრიფონ და სახელ-
მწიფოს 3.908 ტონა მაღალხარისხოვანი
ჩაის ნედლეული ჩააბარონ.

— შესძლებთ?

— კი.

შევცქერი გურიანთის ფილიპე მახა-
რაძის სახელობის კოლმეურნეობის თავ-
მჯდომარეს და ვფიქრობ: ამ ენერგიითა
და ახლის ძიებით აღსავსე თავკაცს სხვა
კოლმეურნეობაში გადაყვანა რომ დაუ-
პირონ, რა თქმა უნდა, საერთო კრებას
მოიწვევენ.

მოიწვევენ და ისევ იჩოჩოლებს
დარბაზი. ვილაცა ამოიხრებს, ვილაცა
რალაცას შესძახებს და კოლმეურნეე-
ბი ფარულად ისევ შეიმშრალევენ
თვალზე მომდგარ დანანების კურ-
ცხალს...

კი, ასე ვინამე გურიანთაში.

ოთარ დავაბრაშვილი,

„ლეონის“ საცვალური კორმსონფაბრი

ჩვენი სსსიკი

შვიდი წლის ბათუმელი გოგონა თავის სიცოცხლეში პირველად დაქისრებულმა როლმა უნაზესი ყვავილის ბუნებაში ჩაახედა.

ცხადია, მას აღრეც უნახავს, უკრეფია, მოხიბლულა, მაგრამ ახლა თავად უნდა განესახიერებინა ჩვენი მინდვრის ბინადარი, ისე სრულად წარმოედგინა პატარა ზარებივით ჩამოკიდებული, ცალგვერდა მტევნად ასნმული, კოხტა, თეთრი ყვავილები, რომ მხილველთ შრომანას სურნელება ეგრძნოთ.

„ყვავილთა შორის“ — ასე რქმევია იმ პირველ წარმოდგენას.

უნაზესი ყვავილივით გამოხატული სილამაზის განცდა წარუმიძღვარა გოგებაშვილმა „დედაუნას“.

ეროვნული თეატრისადმი უზადო მსახურებით განთქმული ელო ანდრონიკაშვილი თავის შევირდს მშობლიური წალკოტის სურნელებას აყვარებდა.

ჭეშმარიტად სახალხო არტისტის მკვებავი ფესვების სიღრმის საზომად გამოგვადგებოდა ნ. ურუშიძის წიგნში („სესილია თაყაიშვილი“) მოყვანილი ეპიზოდი: „ვიქტორ გაბესკირიას პიესის „უფსკრულის“ ერთ-ერთ წარმოდგენაზე, ანტრაქტში მსახიობთა ფოიეში თავისუფალ მსახიობებს თავი მოეყარათ და საუბრობდნენ. სესილია თაყაიშვილი ევას გრიმსა და კოსტუმში ყურს უვდებდა მათ და, როგორც ყოველთვის, მონაწილეობდა საუბარში. ამ დროს მოსაუბრეთა ჯგუფს რეჟისორი ლილი იოსელიანი მიუახლოვდა. მას ხელში ნელსაცხებლის პატარა ბოთლი ეჭირა და ყველას ასხურებდა. უეცრად სესილიამ ნესტოებზე ხელი წაიჭირა და გაიქცა: „მე ახლა ხმელი სუნელისა და ომბალის სუნი მიტრიალებს და არავითარი სხვა სუნის ატანა არ შემიძლია. ვერ ვითამაშებ! ვერ ვითამაშებ!“.

ამიტომაც ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის ფართოდ ცნობილი პიესის წარმოდგენისას რეჟისორის არავითარ შემთხვევაში არ ავიწყდებოდა წითელ წიწაკიანი შეკვრის სათანადო



ლო ადგილას დაკიდება, ვინაიდან მის გარეშე თაყაიშვილის ბედი ოღონდ ვერ იარსებებდა.

სიმართლითა და მხოლოდ სიმართლით სუნთქავდნენ თაყაიშვილისეული ნიჭიერებით ნახატ დედათა, ძიძათა, გამზრდელთა ფერმიდღარი სახეები, უკიდურესად განსხვავებულნი და ამავე დროს უაღრესად ადამიანურნი თავიანთი დედობრივი ბუნებით.

სესილია თაყაიშვილის შემოქმედების მთელი გზა მაღალად-მიანური უბრალოების საჩინო მაგალითთა და მისი ანდერძიც მისი პიროვნების მთლიანობის დასკვნით აკორდად აღიქმება.

დიდ მსახიობს ცხად ღირსებებთან ერთად ის სიკეთეც მოაქვს, რომ მისი შემოქმედების წყალობით ენის ბუნებაში უფრო ღრმად ვიხედებით. გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლში დაბადებული ზურთკელას ბებია სრულიად საქართველოს დიდების სიმალემდე ამაღლდა და აქედან მსოფლიო თეატრალური კულტურის ორბიტაზე გავიდა.

ვიხილ ვიხიყრალი

კოლმეურნეობის ბრიგადირა იური იობიშვილი უმცროსი ვაჟის პაატას დაბადების დღეს იხილდა.

გააწყვეს სუფრა, მიუჯდნენ მაგიდას. ის-ის იყო, სტუმრებმა პირველი სადღეგრძელო ჩამოათავეს, რომ კარი ხმაურით გაიღო და ოთახში კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შემოაბიჯა.

მიხაკო ორაგველიძის სტუმრობამ შნო და ლაზათი შემატა სუფრას.

გურულ კაცს იუმორს რა გამოუღევს. იხუმრეს, იცინეს, იკენწლავეს, არც საქმე გამოჩინებიათ: მისდგნენ და, რაც სოფელს უჭირდა, წვრილ-წვრილად იმაზეც ისაუბრეს.

როცა პაატას ბაბუამ, კაპიტონმა, შემართული მარჯვენის ცერა, საჩვენებელი და შუა თითები შეაერთა, მოიღო თავი და „მრავალყამიერი“ წამოიწყო, ოთახის კარი ისევ ხმაურით შემოჯახუნდა.

მეზობლის გოგონა იყო.

— რა მოხდა, ცა?

— დედამ გამომაგზავნა...

— რა მიხდა? — იური წამოდა.

— ტელევიზორი ჩართეთო...

ჩამოვარდნილი სიჩუმე ხვევრდოვანმა ხმამ დაარღვია. დიქტორი ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების ტექსტს კითხულობდა.

და მაშინ, როცა დიქტორმა 1983 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორგანიზაციის სახელობის „საპატრიო ნიშნის“ ორდენოსანი კოლმეურნეობის ბრიგადირი იური კონსტანტინეს ძე

იური იობიშვილი

იობიშვილი დაასახელა — ოთახში ტაშმა იქნა.

მილოცვას და სიხარულს ბოლო არ უჩანდა.

წამოდა მიხაკო. გაალიცილიცა ჯიხვის ყანწი და საქვეყნოდ წარმოჩინებული ვაჟკაცის იური იობიშვილის სადღეგრძელო წარმოთქვა.

მიწის სიყვარული იურის ბავშვობიდან მოსდგამდა.

დაამთავრა უმაღლესი. აბრუნდა სოფელში. აიკაბიწა მკლავები. მისდგა და მიწსთან შერკინება ბეჭობს მიღმა მიზომილი დაკნინებული ჩაის პლანტაციიდან დაიწყო.

თავიდათავი ჩაის მოგლა-მოყვანის აგროტექნიკური კომპლექსის დროული, ზუსტი და მტკიცე დაცვა იყო.

ბეჭობს მიღმა არცთუ დიდი ხნის წინათ დაკნინებულ ბუჩქები გალაღდნენ, ძალა მოიკრიბეს, გაახალგაზრდავდნენ, უხვი და მაღალხარისხოვანი „მწვანე ოქროთი“ გადაბიბინდნენ.

იური იობიშვილი ყოველწლიურად უფრო და უფრო ზრდიდა მოსავლიანობას.

გამარჯე კოლმეურნემ ჯერ „შრომის დიდების“ მესამე ხარისხის ორდენი დაიმსახურა, მერე — „შრომის დიდების“ მეორე ხარისხის ორდენი.

სამაგალითო შრომაში მედლებიც მიიღო, სიგელებიც, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ჯილდოებიც.

იური იობიშვილის ბრიგადის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტები, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომლები ეწვივნენ.

სტუმრებმა ყველაფერი გულმოდგინედ აწონ-დაწონეს, იმსჯელეს და დაადგინეს, კოლმეურნეობის მეცამეტე ბრიგადის ჩაის პლანტაციას ხარისხის ნიშანი მიენიჭოსო.

შარშანდელი სამეურნეო წლის დასასრულს, ხარისხის ნიშნიან პლანტაციაზე კოლმეურნეებმა სარეკორდო მოსავალი მიიღეს.

თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 25 ტონა ჩაის მაღალხარისხოვანი ნედლეული მოიკრიფა. ეს მონაცემები კოლმეურნეობის საშუალო მაჩვენებელს 7 ტონით აღემატება.

— ყოჩაღ, ძმაო! — ღიმილით გახედა რაიკომის პირველმა მდივანმა ოთარ თენიშვილმა იური იობიშვილს, — გარჯა დაგიფასდება!

სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ბრიგადამ ყველა რეზერვი ამოქმედა, შესაძლებლობანი აწონ-დაწონა და მტკიცედ გადაწყვიტა — ხუთწლიანი გეგმა რთვ წელიწადში შეასრულოს.

ახლა, ზაფხულის ამ პაპანაქება სიციხეში, სოფელ შრომის გლეხკაცები დილიდან შებინდებამდე თავდადებულად შრომობენ.

სიტყვა სიტყვა!

ნუგზარ ქინძლაძე

გეორგი ჩველიშვილი მუსიკის



გეორგი ჩველიშვილი
მუსიკის

შუახანს მიტანებული არც კია გიორგი ჩველიშვილი, რამდენიმე პროფესიას კი ფლობს.

მანქანის საჭეს მართავს? ნურაფრისა გეშინია, მიენდე და მიჰყევი! თვალის უმტყუნებს თუ მკლავი. სადურგლო საქმეს მოჰკიდებს ხელს და, რომ იტყვიან, ყველაფერი ლარში გამოვა. ყოველ შემთხვევაში, მის გამოკოპონირებულ ხეს ვერავინ დაინუნებს.

მაგრამ ეს კაცი უნდა ნახო მაშინ, როცა რაიმეს ხატავს, ანდა ქვასა თუ ლითონში დებს გულს და ჩუქურთმაში ამბობს თავის სათქმელს. ასეთ დროს უჩვეულო სიტბო ჩაუდგება ხოლმე თვალელებში და უტყუარია მისი ალლო. ფიქრიანი და მეოცნებე ოსტატის ხელში თბება ქვა, ნედლეობა ხე და ლითონი უფრო მოქნილი და რბილი ხდება.

მას უყვარს სიცოცხლე, ხალისიანი და ამღერებელი ფერი, საღებავი, რომელიც მინისა და ბალახის სუნს გაგრძობინებს, ყურს უკვდებს ცხოვრების მაჯისცემას და აქვს საკუთარი ხელწერა.

კარგად დაუკვირდით მის ნამუშევრებს, თუნდაც ჭედურ კომპოზიციას „ჩვენ მშვიდობა გვინდა!“ გოგონებს ერთად მოუყრიათ თავი. მღერისან სათნოდ, მიაშიტად. ეტყობა, ეს-ესაა მინდვრებიდან დაბრუნდნენ. ყოველივე ეს მათ მზემოკიდებულ სახეებზე ამოიკითხება. ერთ მათგანს თეთრი, ღუნღულა მტრედი ჰაერში აუფრენია. ალერსიანი თვალთ შეჭოფინებენ ქალიშვილები მტრედს — მშვიდობის სიმბოლოს.

ასევე ხალისიანია და სიცოცხლის მადიდებელი მეორე ჭედურობა „გილოცავთ ახალ წელს!“ სილაღისა და სულიერი სიმშვენიერის განსახიერებაა ამ კუთხისათვის დამახასიათებელ ტანსაცმელში გამოწყობილი გურული გლეხკაცი.

დგას ჩვენს წინ ამაყი, გულგახსნილი მეკვლე და მომლოცველი. ლამაზად წამოუსხამს ძველებური ჩაქურა. მღერის, ხმამაღლა კი არა, ჩუმად, თავისთვის, გახარებული, ვალაღებული. შრომაში უპოვია ბედნიერება.

უკან სანთლებივით ანთებული ვაზებია — დაკორძილი, დახვეული, შვიდხნაიანი კრიმანჭულივით ყელზე რომ მისი მოსვენების წიგნებს. შავი, დამკრწილი მტევნები მზეზე უკრიალებთ.



გიორგი ჩველიშვილის ნამუშევრები.



აი, ამ მინისპირზე, ამ ტალავრის ქვეშ, ამ ვაზის ძირებთან უნდა იფუსფუსოს ამ გლეხკაცმა. ყოველი ახალი წელი აქედან უნდა მიულოცოს თავის ქვეყანას.

ცხოვრების შუაგულში მოტრიალვე მხატვარი ფერწერულ ტილოებზე აცოცხლებს ადამიანებს, რომლებიც მის გვერდით შრომობენ, იღვნიან, ხეში თუ ქვაში ზემინენვითი სიზუსტით ძერწავენ მისთვის კარგად ნაცნობ სახეებს. პირდაპირ ნატურიდან ვადმოაქვს ის, რაც ვადმოსაღებია და არაა დასაკარგი. ასე შეიქმნა თანამედროვეთა პორტრეტები, ფერწერულ-გრაფიკული ჩანახატები, ჭედური კომპოზიციები.

აი „გურული“ — საოცრად ახლობელი და ნაცნობი, თითქოს ცხოვრობდნენ ვადმოსული, თბილი, თავისებური შტრინებით მოხაზული ფიგურა. ან თუნდა, სათნო და მთრთოლვარე „მონადირის სიზმარი“. „შემოდგომა“ მოსავლის ნამ-

დვილი ზეიმია — მსუყე, ხვავრიელი, შენითლებული ფოთლების შუქით გაღებრილებული.

როცა ამდენი რამის თქმას ერთ ნახატსა თუ ჭედურობაში ახერხებს კაცი მხოლოდ ნიჭის წყალობით, იგი უეჭველად ყურადღების ღირსია.

ერთი სიტყვით, ცხოვრობს მახარაძეში ხელოვანი კაცი, რომელსაც სამხატვრო აკადემია არ დაუმთავრებია. ცხოვრობს იქ, სადაც დაიბადა, გაიზარდა, მშვენიერ ქალაქში, კეთილ მეზობლებსა და მოყვრებს შორის. იციან აქ მისი ფასი, პატივს სცემენ მის მაღლიან ხელს. ისიც კარგად იციან, სად და როდის დაინყო მისმა სურათებმა სიცოცხლე.

... ეს იყო ამ ოციოდე წლის წინ. ქალაქის საგამოფენო დარბაზში პირველად გამოჩნდა მისი ნამუშევრები. საზოგადოების წინაშე წარსდგა მანამდე უცნობი მხატვარი.

ამ დღიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ გიორგი ჩველიშვილის ნამუშევრებმა საერთო მონონება დაიმსახურეს თვითნასწავლ მხატვართა საკავშირო გამოფენაზე მოსკოვში. ერთი-ორი წელიც კი არ გასულიყო, რომ ისევ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გამართულ თვითნასწავლ მხატვართა პირველ საკავშირო ფესტივალზე საუკეთესო ჭედური ნამუშევრებისათვის მას ლაურეატის დიპლომი გადაეცა.

მისი რამდენიმე სურათი ასევე დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამოცე წლის თავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რომელიც თბილისში, პროფკავშირების ხალხურ შემოქმედებითს სახლში მოეწყო.

ყოველივე ამას თავის საქმეში თავჩარგულმა ადამიანმა თავდადებული შრომით მიაღწია. ცოლ-შვილიც ამ გზით წაიყვანა — მხატვრობა და სიმღერა უცხო ხილი როდია მის ოჯახში.

მღერის ჩველიშვილების ოჯახი — მყუდრო, წელგამართული. მღერის ოჯახის ყველა წევრი: დედა — კარგა პედაგოგი და მეოჯახე, შვილები — მეცხრე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები.

მღერიან გატაცებით, თბილად, ძალდაუტანებლად.

ლევან ანუჩიძე

კათა შორის გააჩვენებულ

ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის კანტორა ხალხით იყო სავსე. კოლმეურნეობის დელეგაცია სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესატყვისად მეორე დღეს სომხეთიდან მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მიემგზავრებოდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფათულ კარაპეტიაძე სოფლის აქტივი შეკრიბა. საქართველოში გამგზავრებამდე კოლმეურნეობა ერთხელ კიდევ იმსჯელეს და გულდასმით აწონ-დაწონეს ყველაფერი.

ბინდებოდა, როცა ხალხი დაიშალა.

— ჰამლეტ, მოიცადე! — კოლმეურნეობის თავკაცმა კართან ჩამომდგარ ბრგე კაცს გახედა და ხელით ანიშნა, შემობრუნდოდა.

თავმჯდომარე წამოდგა, გაიარ-გამოიარა და კოლმეურნეობის ბრიგადირ ჰამლეტ მარტიროსიანთან შეჩერდა.

— რატომ დაგაგვიანდა თათბირზე?

— სტუმრები გავაცილე...

— ვინ სტუმრები?

— ქართველები. ერევნის დასავალიერებლად მიდიოდნენ.

თავმჯდომარემ გაცემით გახედა მოსაუბრეს.

— თურმე ბენჭინი შემოაკლდათ... აქეთ რომ მოვდიოდი, გადასახვევთან იდგნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ...

— მერე?

— „იგიულის“ ბენჭინით გავუვსე, მანქანა გაგმართეთ, დავემშვიდობებ და გავისტუმრე.

ჩამოსხდნენ. ჩამოვარდნილი სიჩუმე ფათულ კარაპეტიაძე დაარღვია:

— უთენია უნდა გავიდეთ სოფლიდან. გვიცი წითლიძე, ალბათ, ისევ სამტრედიისში შემოგვეგებება.

— ასე იქნება! — ჰამლეტმა დასტურით დაიქნია თავი.

— ჰოდა, ავდგეთ და პირბადა მივულოცოთ.

— მივულოცოთ? კიდევ რა მივულოცოთ?

— როგორ თუ რა? — თავმჯდომარემ ისევ გაცემით გახედა ბრიგადირს, — მახარაძის რაიონმა საკავშირო გარდამავალი დროსა რომ მიიღო, არ იცი?

— ვიცი, ვიცი კი არა, მისალოცი დეპეშა გავგზავნე.

ჰამლეტ მარტიროსიანმა ჩაიღიმა.

— როცა ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს, პატივცემულ გვიცხვრავინ დასწრო. ხომ გახსოვთ, მაშინვე მოსალოცი დეპეშა გამოგიგზავნა.

ყველაფერი ასე დაიწყო: 1938 წლის 26 მაისს გაზეთ „კომუნისტი“ გამოქვეყნდა სოფელ ნატანების კოლმეურნეთა წერილი. მასში მოთხრობილი იყო იმ წარმატებებზე, რომლებსაც სოფელმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მია-

ღწია. ნატანებელი მშრომლები სომეხ მეგობრებს თხოვდნენ გამოეზარებოდნენ მათ წერილს.

იმავე გაზეთის სამი ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სომხეთიდან მიღებული ბარათი. ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ფოქრ შაპირაის (დღევანდელი ნალბანდიანის) მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ერთხელგანად უჭერდნენ მხარს ნატანებელთა თხოვნას და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას სთავაზობდნენ.

ორ მომხმე კოლმეურნეობას შორის სოციალისტური შეჯიბრება გაფორმდა.

„ბრავდამ“ მაღალი შეფასება მისცა ამ პატრიოტულ თხოვნას. გაზეთმა 1938 წლის 12 ივნისს ჩვენს თვალუწვედნელ სამშობლოს ამცნო ორი კოლმეურნეობის ძმური დამეგობრება და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე მოგვითხრობს:

— როცა სომეხ მეგობრებთან სოციალისტური შეჯიბრება გაფორმდა, ჩვენს სოფელს სულ სხვა იერი ჰქონდა. კოლმეურნეობას აღრე მხოლოდ 100 ხარი და სამი ცხენი ჰყავდა; ამას 100 კაცი და 9 ურემიც უნდა დავუშავოთ. ეს იყო და ეს!

ახლა? ახლა კოლმეურნეობის განკარგულებაშია 50 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 60 საბარგო მანქანა, უამრავი ტექნიკა... მოლით, მხოლოდ რამდენიმე ციფრს მოვიშველიებ: 1938 წელთან შედარებით, ნატანების კოლმეურნეობაში ციტრუსოვანი კულტურების წარმოება 80-ჯერ გაიზარდა, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის — 15-ჯერ. ნატანები ახლა ყოველწლიურად 7 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთლს აბარებს სახელმწიფოს. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 7,8 მილიონ მანეთს მიაღწია...

ნალბანდიანსა და ნატანებში ახლა მეგობრობის ზვარი და პლანტაციაა გაშენებული. ზვარი მეგობრების სახელზე სომეხმა კოლმეურნეებმა გააშენეს, ციტრუსების პლანტაცია — ქართველმა გლეხებმა. ნალბანდიანელთა ყოველ საახალწლო სუფრას ნატანებში მოწეული ციტრუსები ამშვენებს, ნატანებლებს სომეხი კოლმეურნეები მეგობრობის ზვარში დაკრეფილ ყურძენს უგზავნიან.

დამშობილების ოცი წლის აღსანიშნავად ნატანებში 1958 წელს მეგობრობის მემორიალი აღიმართა. აი სწორედ აქ, მეგობრობის ამ კონტაქტთან, მოვისმინე ეს სიტყვები: სოციალისტური შრომის გმირი დარეჯან ტაკიძე და სოციალისტური შრომის გმირი გელციკ კარაპეტია-

ნი საუბრობდნენ.

— ერთი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოსაკრეფად, ამბობენ, დაახლოებით ორი ათასი ღუყის მოკრეფა საჭიროა, ასეა?

— არა, — დარეჯან ტაკიძემ გაიღიმა, — ორი კი არა, ერთ კილოგრამს დაახლოებით სამი ათასი ღუყი სჭირდება.

— სწორე ვითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი დიდი შრომა სჭირდება და ჩაის ნედლეულის დამზადებას. ჩვენ, მებოსტნეებს, შედარებით იოლი სამუშაო გვაქვს...

— იოლი სამუშაო არ არსებობს. მით უმეტეს, გმირობის მოსაპოვებლად, — დარეჯან ტაკიძე ჩაიჭიქრა და იკითხა, — ჰექტარზე რამდენ პამიდორს იღებთ?

— შვიდას ცენტნერს. ხანდახან მეტსაც.

— ეს ხომ სარეკორდო მოსავალია! ამის მიღწევას, მართლაც, რომ თავდადებული შრომა სჭირდება.

ნატანების და ნალბანდიანის კოლმეურნეობებში ძირითადად სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს აშენებენ. კოლმეურნეებს ეს ხელს როდი უშლის სწორად შესვლენ და ერთმანეთს თავიანთი მდიდარი შრომითი გამოცდილება გაუზიარონ.


ნაკისრი ვალდებულების პირნათლად შესრულებაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის სწორ ორგანიზაციას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებას, მატერიალურ სტიმულირებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას...

აი საკითხები, რომელთა შესახებ ყოველ შეხვედრაზე გულდასმით მსჯელობენ საერთო საქმით დაინტერესებული გურამ ხურციძე და დავიდ შაპიაზიანი, კობა მახარაძე და რაზმიკ მარგარიანი, თინა თევზაძე და ჰასმიკ სტეფანიანი, ეთერ მარბელი და ნარინგულ გრიგორიანი, გერონტი მიმინოშვილი და ნორიკ გინოსიანი, დონარა მახარაძე თუ გელციკ კარაპეტიანი...

შარშან, როცა ბრიგადების მუშაობა შეაჯამეს, სოციალისტური შეჯიბრებაში პირველობა მელიტონ ცენტრაძის ბრიგადას ერგო. საგანგებო შეკრება მოეწყო. გამარჯვებულებს ტაშის გრიალში გადასცეს ოქტემბერიანის რაიონის სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა. ბრიგადამ 1.500 მანეთი ფულადი ჯილდოც დაიმსახურა.

1968 წლის ზაფხულში, როცა ქართველმა და სომეხმა კოლმეურნეებმა დამშობილების 30 წლისთავი იზეიმეს, ნატანებს ოჯახითურთ ეწვია დიდი მწერალი მიხეილ შოლოხოვი.

სტუმარმა მოიარა ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, დაათვალიერა ფერმა, გაეცნო სოფლის ცხოვრებას და აღტაცებული დარჩა. მიხეილ შოლოხოვი ნატანებმა თა-



გივი წითლიძე.

ვის საპატიო წევრად აირჩია.

დიდი მწერალი შემდგომ წერდა: „ნატანების კოლმეურნეობის საპატიო წევრის წიგნაკის ტარება უფრო მეტ სიამაყეს მანიჭებს, ვიდრე ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის მოწმობა“.

ყოველივე ის, რამაც დიდი მწერალი აღაფრთოვანა, კოლმეურნეებმა წლების მანძილზე თავდადებული შრომით შექმნეს. ამ შრომას, ცხადია, უნარიანი თავკაცი სჭირდება.

აი, სწორედ ასეთი გამობრძნედილი, დაუცხრომელი და ხალხის გულში მისათუთებული ადამიანი გახლავთ ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე.

მეთერთმეტე ხუთწლიდის მეოთხე წლის გაგანიკა.

ნალბანდიანში კოლმეურნეები ზვრებს, ბაღნა-ბაღებს, თვალუწვედნელ საკოლმეურნეო მიწდვრებს შესვენან.

გეგმა დიდა, ვალდებულება უფრო მაღალი. თქვეს და უნდა აღასრულონ!

სიტყვის გატეხვა არც ნატანებლებს სჩვეიათ. წელს ისინი 7 ათას ტონაზე მეტი ჩაის მაღალხარისხოვან ნედლეულს ჩააბარებენ სახელმწიფოს. ზეგამებთ აწარმოებენ ციტრუსებს, ერთწლიან კულტურებს, კოლმეურნეობის შემოსავალი, სულ ცოტა, 7 მილიონ მანეთს მიაღწევს...

ჩათავდება სამეურნეო წელი და ვნახოთ, ამჯერად რომელი გამოვას სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებული.

ერთი რამ კი ცხადია — ნატანებლები გაიმარჯვებენ თუ ნალბანდიანელები — ეს გამარჯვება ძმთა შორის გამარჯვება იქნება. ძმთა შორის გამარჯვება კი ერთია და ერთნაირად სასიხარულო.

სერგო არაქელიანი, „დროშის“ საპენიალური კორესპონდენტი.

ყურე მეურნეობა კახეთში



ხალხს უთქვამს, ცა დილა-
ადრიანად იხსნებაო. ისიც
უთქვამთ, ვინც ცის გახსნას
თვალს შეასწრებს, იმას მოწ-
ლი დღის სამუშაო წინ წავდებ-
ული ექნებაო.

მე ვიცი, როდის იხსნება ცა
და რას გულისხმობს ხალხი
ცის გახსნაში, მაგრამ ცის გა-
ხსნა რომ ადრე ამდგომი კა-
ცის შესაქებადაა გამოგონილი,
ამაშიც საეჭვო არაფერია.

უყვარს ხალხს გამრჯე, გუ-
ლისყურისანი მუშაკაცი, რომე-
ლსაც მელღებავალიობა ჭირის
დღესავით ეზარება და ძილ-
შიაც არ ასვენებს გასაკეთე-
ბელი საქმე.

ნელ-ნელა გაიკრიფა ბინდი
და გაიხსნა ცა.

ცის გახსნას კახათში აქამ-
დეც არავინ გაუკვირვებია და,
რაკი დღესაც გამთენიისას გა-
იხსნა ცა, გამთენიისას გაიღვი-
და სოფელშიც.

სოფლის თავზე მიცურავს
ზღვის მხრიდან წამოსული
ნისლი. მთელი დამე გადაულე-
ბლად უწვიმია და გზაზე გუ-
ბეები ვაჩენილა. ისინი ახლა
სარკის ნატეხებივით პრიალე-
ბენ. დამდგარი წყალი ზოგან
შავია, ზოგან ლურჯი და კრია-
ლა, პირდაპირ ზეცის ფერისა.

გზის პირებზე ჭადრები ჩა-
რიგებულან. დროდადრო ტო-
ტებში ნიავე გაიქროლებს და
ფართო, მობზინვარე ფოთლე-
ბი ყურებს წამოქვეტენ. კო-
ხტა და კოპწია თლა-სახლები
დავეილ-დაკრიალეული ეზო-
ებით... რბილი, მწვანე მოლი
ჭერ კიდევ ცვარითაა გადავერ-
ცხილი.

კახათი მართლაც ღონიერი,
წელგამართული სოფელია, მუ-

ყაითი და შრომისმოყვარე
ადამიანებით დასახლებული.
პირველად ამ ათიოდე წლის
წინათ გახლდით აქ.

კოლმეურნეობის კანტორა-
ში შევედი.

კაცის ჭაჭანება არაა. მარტო
მოანგარიშე მიმჯღარა კუთხე-
ში და რალაცას წერს.

თავმჯღომარე სადაა-მეთქი,
შევეკითხე.

— მაგი რომ ვიცოდე, რა მი-
ჭირსო, — ერთი კი ამომხედა და
წერა განავრძო. შუა ხნის კა-
ცი იყო, საქმოდ გაჭალარა-
ვებელი, — ჭურიაზე იქნე-
ბაო, — ისე თქვა, თავი არც
კი აულია.

ჭურია მდინარე ყოფილა,
სოფლიდან კარგა მანძილით
დაშორებული.

ბევრი რომ არ გავაგრძელო,
ორი-სამი საათის შემდეგ, ჭუ-
რიაზე გახლდით.

აგერ მდინარის ტოტი დგა-
ფუნობს. ნაპირებზე საძოვარი
ბალახი, რომ იტყვიან, წყაროს
თვალვითაა წამოსული.

ახალგათბული ბალახისა და
თევზის სუნი მეცა.

ნაპირთან რამდენიმე კაცს
მოუყრია თავი. მათგან ცოტა
მოშორებით, ნაგი გადმოუბ-
რუნებით და ფსკერს ურემო-
ნტებენ. ყველას რეზინიანი
ჩექმა აცვია და ყველა ჩემსკენ
იყურება.

ასე გავიცანი პირველად
ჯოტო გუგუჩია — წარმოსა-
დგვი, ბეჭებში ლალად გაშლი-
ლი, ღიმილიანი პიროვნება.

მაშინ ჭურიაზე ახალი სა-
ქმე წამოიწყეს...

უჭირდა პირუტყვის, რადგან
საკვები არ ჰყოფნიდა. აქ, ჭუ-
რიას მიდამოებში, ათასობით
ტონა ბალახი შეიძლება მო-
ეთიბათ და საზამთროდ შეენა-

ხათ, მაგრამ ვინ ზედავდა ამას?

შეხედეს, ყველაფერი აწონ-
დაწონეს. კაცის სიმაღლეზე
შემომდგარ ბალახს თიბავდ-
ნენ, ზვინავდნენ და ხმელეთი-
დან მისადგომი რომ არ იყო,
აქეთა ნაპირზე მოტორიანი ნა-
ვეებით გამოჰქონდათ.

თბილისიდან ჩამოვიდნენ
ამხანაგები და მოიწონეს ეს
საქმე. რესპუბლიკის ხელმძღ-
ვანელმა ფენდაფებ დაიარა ეს
მიდამოები. ესაუბრა გლეხკა-
ცობასა და რაიონის ხელმძღვ-
ნელობას.

და აი, ჭურია ახლა არამარ-
ტო ზუგდიდის რაიონს, მეზო-
ბელ რაიონებსაც ამარაგებს
პირუტყვის საკვებით.

მეურნეობის სწორი გაძლო-
ლა რომ უბრალო საქმე არაა,
ეს ყველამ იცის. ხელმძღვ-
ნელი რომ მთავარი ფიგურაა
მეურნეობაში და მასზე ბევრი
რამაა დამოკიდებული, ესეც
არავის ესწავლება.

რაკი მეურნეობის ხელმძ-
ღვანელზე ჩამოვარდა სიტყ-
ვა, მოდი, ჯოტო გუგუჩიაზე
განვაგრძოთ საუბარი.

...ამას წინათ გულწრფელად
გაგვახარა ვაზეთებში დაბეჭ-
დილმა ცნობამ სოფლის მეუ-
რნეების მუშაკთა ერთი ჯგუ-
ფისათვის სოციალისტური
შრომის გმირის წოდების მი-
ნიჭების შესახებ.


— „მათ შორისაა ჩვენი თა-
ნამემამულე ჯოტო იოსების ძე
გუგუჩია — ზუგდიდის რაიონ-
ის სოფელ კახათის მარქსის
სახელობის კოლმეურნეობის
თავმჯღომარე“, — გვაუწყა პი-
რველ გვერდზე გამოქვეყნე-
ბულ ინფორმაციაში ვაზეთმა
„კომუნისტმა“.

მოდი, მკითხველო, ჩვენც
შევეურთლეთ უპირველესი ქა-
რთული ვაზეთის კეთილ სურ-
ვილებს და ლენინისა და შრო-
მის წითელი დროშის ორდე-
ნების კავალერს, საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დეპუტატს, საქართველოს კომ-
პარტიის ცენტრალური კომი-
ტეტის წევრს — ჯოტო გუგუ-
ჩიას მივულოცოთ ეს მაღალი
წოდება.

არ შეიძლება არ გვესამოვნ-
ნოს ღირსეული კაცის დაფა-
სება. ეს ხომ ნამდვილად დაიმ-
სახურა მან. დაიმსახურა შრო-
მით, ოფლის ღვრით. თუ რამ
გაკეთდა კახათის კოლმეურ-
ნეობაში, თავმჯღომარემაც შე-
იტანა თავისი დიდი წვლილი.

— თუ ვინდა გლეხკაცმა
იმუშაოს, პირობებიც უნდა
შეუქმნა, — ამბობს თავმჯღო-
მარე და ვაფაცივებით ვაჭყუ-
რებს გზას. საჭესთან ზის და
ავტომატუნა მოსთვალტებულ
გზაზე მიჰყავს, — ხალხს ვერ
გაიყოლიებ, თუ კაცს საქმეს-
თან მისვლა არ უხარია.

ერთ ამბავს მოგიყვები. კარ-
გა ხანაა მას მერე, — გა-
ნავრძობს ჯოტო. — ზუგდი-
დიდან გამოვიდვარ. ხიდთან,
იქვე, პატარა მდინარე ჩამო-
დის, ჩხოლუშიას ვეძახით. ახ-
ლაა დამშრალი, თორემ ხან-
დახან ისე მოდიდდება, კაცს
გაღარავს. ნათესავი შემხვდა.
მანქანა ვაგაჩერე და ჩავსვი.
სად იყავი-მეთქი, ვეკითხები.
ბაზარშიო, მიპასუხა. ბაზარში
რა ვინდოდა, შე ქალო, ამ
დილასიბნელეში, ისევ შევე-
კითხე. მწვანელი ვიყიდეო,
ისევ მომიგო პასუხად. უსია-
მოდ გამიცრა ტანში. ხმა აღარ
ამომიღია. მის სახლს რომ ჩა-
ვეუქროლე, გააჩერე, რას შევე-



ქართლის პეიზაჟი

ახალგაზრდა მხატვრები
„ეროვნული“ ფურცლებზე



სალამო იმერეთში

ლაშა სულაკაური


მესტია






ქართული ენის

ეგვიპტე
სიონიკო
ნოვარის
სეფედი
ფრესკო
საქ



ლადო ქუთათელაძე

თბილისი, მეტეხი
ბათუმი, გემები რეიდზე
ქართული მხატვრული შრიფტი
კარლ მარქსის სახელობის ხიდის მშენებლობაზე
ჩაის პლანტაციები
რუსთავი





არაბული ზღაპარი „ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი“



ლინოგრაფიურა

ახალგაზრდა მხატვრები
„დროშის“ ფურცლებზე

დიმიტრი გორდელაძე



სადაღემო აფიშა



ილუსტრაცია

„მაკბეტი“



საქართველოს კმ ზუგდიდის რაიონის პირველი მდივანი ივლიანე თოდუა და კახათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ჯ.ოტო გუგუჩიძე.

ბიო, შემომძახა. არ გავაჩერე. ჩემს ეზო-ქარში შევიყვანე, ჩემი ვაწკრიალეხული ბოსტანი ვანახე. აბა, წაილე, რამდენიც გინდა. სირცხვილი არაა, კახათში მაცხოვრებელი ადამიანნიშვილი ზუგდიდში მიდიხარ ქინძისა და ბოლოვის საყიდლად-მეთქი, ვუთხარი და მორჩა, მეტი არაფერი მითქვამს. ახლა იმისთანა ბოსტანი, იმ ჩემს მოყვარე ქალს რომა აქვს, მეორე არაა მთელ კახათში, — დამთავრა თავისი სიტყვა თავმჯდომარემ და მანქანა გააჩერა.

მართალია ჭოტო გუგუჩია — ხალხი რალაციით უნდა შეათამამო, რომ გვერდში ამოვიდგეს. უპირველეს ყოვლისა, თავისი შრომის საზღაურს მოეოთხოვს ყველა.

ხუთათასამდე მაცხოვრებელია კახათში და აქედან ორი-ათასი შეიდასი კოლმეურნეობაში მუშაობს. ცხადია, მოსწავლეები და სტუდენტობა არ შედის ამ სათვალავში.

გუშინდელ დღეზე ლაპარაკი, მაინცდამაინც არცია სახალისო. გვერდის ავლაც არ ივარგებს.

მოვიყვანოთ მეჩაიეთა მაგალითი.

1971 წელს კოლმეურნეობაში კაცდღეზე ოთხი მანეთი და თხუთმეტი კაპიკი ვაიცა, შარშან, ესე იგი 1983 წელს — თვრამეტი მანეთი და ოცი კაპიკი, სამჯერ მეტი.

ასეთივე განსხვავება მოკ-

რეფილი ფოთლის რაოდენობაშიც (გასულ წელს სამჯერ მეტი ჩაის ფოთლი მოიკრიფა).

რა მოხდა?

მოხდა ის, რომ გლეხკაცმა თავისი ნაშრომ-ნაოფლარისთვის კარგი ვასამრჯელოც მიიღო — მისი საშუალო თვიური ხელფასი სამას მანეთამდე ავიდა. არიან ისეთებიც, რომლებიც ამას არ სჯერდებიან და ხუთას მანეთზე მეტს ლეზულობენ ყოველთვიურად. ასეთებია, მეჩაიეები — აგრაფინა აკობია, ზოია წითლიძე, ეთერ გეთია და მრავალი სხვა.

არჩილ გუგუჩიას ოჯახში, სადაც ხუთი სულია შრომისუნარიანი, შარშან თექვსმეტი ათას ხუთასი მანეთი შევიდა. ეს მარტო ხელფასის სახით. პრემიის კიდევ სხვაა.

ამას ზედ დაუმატეთ ორი საკუთარი ძროხა, ორი დედალორი, ბოსტანი, ეზოში შინაური ფრინველები ხომ არ დაითვლება — ეს ქათამიო, ეს იხვიო, ბატო, ინდაურიო, რა გინდა, რომ აქ არ ჰყავდეთ.

როცა ასე ხელსგავიანად მუშაობს ხალხი, კოლმეურნეობა რატომ იქნება უხვავო და უბარაქო?

დიხაც ასეა და საამაყოა ეს. თუნდაც შარშანდელი მაჩვენებლები ავიღოთ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, კოლმეურნეობას მარტო წმინდა მოგება ერთი მდლიონი მანეთი დარჩა.

ასეთმა დიდმა შემოსავალმა კახათის კოლმეურნეობას, სა-

სოფლო რაიონებს შორის საქართველოში პირველად, საშუალება მისცა საშუალო სწავლების ორი განხარკდივებული სკოლა უფასო კვებაზე გადაეყვანა. ამასთან, რიგიანად მოეწყო მოსწავლეთა საძინებელი ოთახები, სასკოლო სტუდია, ჰქონოდა კეთილმოწყობილი აბანო, მდიდარი ბიბლიოთეკა.

აქვთ ჩინებული სპორტული მოედანი. ამჟამად დიდი მუშაობაა ახალ იზოლორში — ათი ჰექტარი მიწა ჯაგნარისაგან გაწმინდეს, ხელისგულივით მოასუფთავეს.

როდესაც სოფელში ასეთი პირობებია, რომელი ჰკუათმყოფელი მოწყდება თავის ძირსა და ფესვს?

კოლმეურნეობამ პროფესიის ასათვისებლად სწავლის მოსურნე ახალგაზრდობა თვითონვე გააგზავნა ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. სტიპენდიაც თვითონვე დაუნიშნა სტუდენტებს.

წავიდნენ ეს ახალგაზრდები და სოფელში ჩამობრუნდნენ მექანიზატორებად, ზოოვეტერინარებად, ტექნოლოგებად, აგრონომებად.

ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ სამაგალითოდ რამდენიმე მათგანი რომ დავასახელოთ, ურიგო როდი იქნება.

აი, თუნდაც აგრონომები სოსო კეილია და დომენტი კაკულია — პირველი კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანია, მეორემაც ასევე კარგად გაიწაღდა ცხოვრების გზა.

მრავალდარგოვანია კახათის კოლმეურნეობა. ყველა დარგს თავისი სიკეთე გააჩნია — ერთი მეორეს უწყობს ხელს და საბოლოო ჯამში არც ერთი არაა დაზარალებული.

კოლმეურნეობის წამყვანი დარგი მაინც მეჩაიეობაა, ამიტომაც ჩაიზე, მის ღირსება-ნაკლოვანებებზე, ცოტა სხვა-ნაირი საუბარი მოგვიწევს.

ქართული ჩაი რომ იმ გემო-არომატისა აღარაა, რითაც მან თავიდანვე გაითქვა სახელი, ყველასათვის ცხადია. ოღონდ ყველა როდი ვერკვევით იმაში, რითაც ესაა გამოწვეული. სწორედ ამიტომ მოგვხვდა გულზე თამარ ყუფუნისა წერილი — თბილი, დამაფიქრებელი, დღეისა და ხვალის დღეში ჩამხედვარი.

დიახ, საქმეში ჩავვახედა და თავისი თვალთ ნახახი სმართლვე გავვიძხილა ადამიანმა, რომელმაც კარგად იცის მწვანე ოქროს ყადრი და ფასი.

ორგზის სოციალისტური შრომის გმირის წერილს პირველნი კახათელები გამოეხმა-

ურნენ. მთელმა სოფელმა გაიზიარა ცნობილი მეჩაიე-ქალის სატკივარი. მართოდ კრუნაზე საქმიანად უღბაჯჯკესს! საქმე მელი დაუფარავდ ითქვა. ითქვა ყველაფერი, რაც კი მეჩაიეობასა და ჩაის ავ-კარგს შეეხებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქაც, კახათშიც, ბევრჯერ დაფიქრებულან ქართული ჩაის დღევანდელ მდგომარეობაზე და ის, რაც სახელოვან მეჩაიეს აწუხებს, მათი საწუხარიცაა.

დასამალი არაა და, იმ წლებში განსაკუთრებით ჭირდა ნედლეულის გადამუშავება. ჩაის ფაბრიკების წინ მწვანე, ლორთქო ფოთლი დატვირთული ავტომანქანები არამართო საათობით, დღეობით ელოდებოდნენ თავიანთ რიგს. იყო კამათი და დავა იმაზე, ვინ ვის გაუსწრებდა. ცდებოდნენ ადამიანები და უქმად იკარგებოდა ძვირად საღირაოი დრო.

გადახურული ფარდულებიც ვეღარ იტყვდა მოზღვავებულ ნედლეულს და გადაუხეებულ ფოთოლი, ავტომანქანების მოლოდინში, ღია ცის ქვეშ. პლანტაციებში ეყარა. აწვიმდა, მზე აჭერდა, ქარ-ბორბალა დატრიალებდა თავზე.

ასე გრძელდებოდა ორი-სამი დღე მაინც.

გესმით, ძვირფასო მკითხველო? — მოკრეფილი ფოთოლი ორი-სამი დღე გარეთ ჰყრია! რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი ამის შემდეგ?

ახლა ჩაის მკრეფავის მდგომარეობაც წარმოიდგინეთ. გაგანია სიცხეა თუ თავსხმა წვიმაა, პლანტაციაშია. დილაუთენია ადგება და დაღამებამდე აქაა. თავწახრილი კრეფს და კრეფს. მისი ნასიმწარალ-ნაოფლარი კი აგერ, პლანტაციებში, შესასვლელ გზებსა და ბუჩქებშია, გორებზე დახორავებულა და ექნება. რა მადლი და ხალისი ექნება შრომას, რომელ ხელსგავიანობაზეა ლაპარაკი? წინა დღეებში მოკრეფილიც არაა წაღებული და ახალზე ვინდა იფიქრებს.

გმირის წერილი, ასე მართლად და დროულად რომ ამხედდა ამ ნაკლოვანებებს, პასუხს მოითხოვდა...

კახათელები პირდაპირ საქმეს შეუდგნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მოსაკრეფსაც და მოკრეფილ ჩაის ტოთოლსაც ერთი პატრონი გასჩენოდა. იმ ერთ პატრონს პლანტაციებისთვისაც უნდა მოეკლო და მოკრეფილი ფოთოლიც თვითონვე გადაემუშავებინა.

მოკლედ რომ ვთქვათ, კოლმეურნეობისათვის ჰაერივით საჭირო იყო საკუთარი ჩაის ფაბრიკა.

ანაკლია-კახათის გზაზე თუ გაგივლიათ, გზაჯვარედინზე ლამაზ, სახიერ შენობასაც შეამჩნევდით.

ეს კახათის ჩაის ექსპერიმენტული მიკროფაბრიკაა, ფართო, მზიანი საამქროებითა და კაბინეტ-ლაბორატორიებით, შესანიშნავი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი. გარშემო ჩაის პლანტაციები შემორტყმია — ზოლებად დაყოფილი, დახუჭუჭებული, დაბუჩქული. ფსადსა და ეზოს, ცაცხვის ხეივანი შემოიხრდილივია.

მოკრეფილი ფოთოლი — თოთო და სინედლეშენახული, ფაბრიკაში დღეში ორჯერ შემოაქვთ, შუადღის საათებში და საღამოხანს.

რაკი პლანტაცია იქვე, რაღაც ორიოდ ნაბიჯზეა, მეჩაიეები ფოთოლს ყუთებში აღარ ტკეპნიან. გადაზიდვაც ძალზე გაიოლდა.

ასევე გაიოლდა და ყოველგვარი შეფერხების გარეშე ხდება ნედლეულის დახარისხება-გადაწონვა, რის რიგი, რა რიგი! აღარც მიმდებსა აქვს საჩხუბრად საქმე და აღარც მომტანს.

მოტანა მოტანაა, მაგრამ მთავარი მაინც ნედლეულის გადაიშუაებაა.

რაკი მართალია, მართალია, ამ მხრივაც გამოიჩინეს თავი აქაურმა მეჩაიეებმა: ეს პროცესიც შეუფერხებლად იწყება და, ფოთოლი, რომელიც მოკრეფილია დიდი-დიდი ოთხი-ხუთი საათის წინ, უკვე ტექნოლოგებისა და ტიტესტერების ხელში ხვდება.

მიკროფაბრიკის წარმადობაც ნორმალურია და საკმარისი — თხუთმეტი, თექვსმეტი ტონა ჩაის ნედლეული ყოველდღიურად! აქედან ცამეტი-თოთხმეტი ტონა მხოლოდ პირველი ხარისხისაა. შემოსავალიც დიდია. კოლმეურნეობას მარტო შარშან აქედან წმინდა მოგების სახით რვაასოთხმოცი ათასი მანეთი დარჩა.

კახათელების ნახელავით, როგორც ამბობენ, მყიდველიც მაღლიერია და წალმართიანად მომუშავე მეჩაიე კაცის მარჯვენასაც მეტი ფასი დაედო.

პლანტაციებში გაცხარებული ჩაის კრეფაა.

ასეთ ცეცხლკიდება დღეებში კაბინეტში რა გააჩერებდა ივლიანე თოდუას. უთენია ამოვიდა კახათში.

ერთი ჩვეულება აქვს რაიკომის მდივანს: ჩაის კრეფისას ფეხით თუ არ გაიარ-გამოიარა პლანტაციაში, ჩაის კრეფა ჩაის კრეფად არ მიაჩნია.

ხან ერთ კოლმეურნეობაში

გამოჩნდება ხოლმე, ხან მეორეში. დღეს რომ პლანტაციაში ტრიალებს, ხვალ სათიბებშია. გუშინ რომ რუხში ძმობისა და მეგობრობის ზეიმზე ნახე, დღეს ცაიშშია, იონა მეუნარვიას სოფელში.

მომსვლელს დახვედრა უნდა და საქმეს თავის გართმევა.

ჭურიაზე უიმისოდ ღერი ბალახი არ მოდებია ცელის პირს. აგერ ახლახან დარჩელოში ვნახეთ. შეგვხვედრია ახალსოფელში, ახალ თავმჯდომარეს მითითებას აძლევდა. თვალი მოგვიკრავს ჭითაწყარში, გრიგოლიშში, ოდიშში, გლეხკაცობას რომ ესაუბრებოდა მშვიდად, გულიანად.

კალმის კაცებს მისი ცხოვრების შესახებ ერთი-ორი გულითადი სიტყვა აქამდეც უთქვამთ... მაგრამ იმ თვალითა და იმ სიღრმით არავის ჩაუხედავს ივლიანე თოდუას საქმიანობაში, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა რომ ჩაიხედა.

ღიახ, ამომწურავი სიზუსტით იქნა შეფასებული ზუგდიდის რაიკომის მუშაობა და მის პირველ მდივანზე ითქვა თბილი, ავტორიტეტული სიტყვა, რამაც ასე გაგვახარა ყველა.

უყვართ აქაურებს, უბრალო მხენელ-მთესველებს, ეს განათლებული, მოსიყვარულე, საქმეზე თავგადაკლული ადამიანი, წრფელი სიყვარულით ჩაისვა გულში ხალხმა, შეაფასა, გაიგო მისი.

მეორე დღეს, რომ იტყვიან, ცა ჩამოიქცა. საჭირო არ იყო წვიმა და წვიმადა.

ყოველი წუთი საშურია. არადა ვინ გამოვა ამ თავსხმა წვიმაში გარეთ.

თქვენ წარმოიდგინეთ, გამოვიდნენ!..

გამოვიდა მთელი ოჯახი — გოგუცა, მაყვალა და ლალი გეთიები, დედა და მისი ორი ქალიშვილი. მიწა ატალახიანებულია, წვიმითა გამბალი. ბუჩქები სველია და სინესტით გაუღენთილი. ისინი კი ჩაის ფოთოლს კრეფენ.

სამოცდაათი წლის მეჩაიე ქალი — ნანული ბაკარანძეც აქაა. გული არ დადგომია შინ და თავის ნაკვეთში გამოსულა.

ფეხზე დგას მეჩაიეობის მესამე საწარმოო ბრიგადა, რომელსაც პროკოფი კეჭუა ხელმძღვანელობს — ენერჯული, პატიოსანი მეურნე კაცი.

ერთი სიტყვით, იკრიფება ჩაის ფოთოლი ყოველგვარ ამინდში. იბრძვიან მეჩაიეები თავიანთი სიტყვის შესასრულებლად.

პასილ გვატაქე,

„დროვის“ სპეციალური კორესპონდენტი.




ჩაის კრეფენ გოგუცა, მაყვალა და ლალი გეთიები.



ჩაის მიკროფაბრიკის მუშები: ელგუჯა ჯოლოგუა, ლინა თოდორაია, ლინა გუგუჩია, ლუიზა გუგუჩია.

მომღერალთა გუნდი.





როგორ შეთქვა მისთვის, როგორ გამეცა კარის მეზობლის ბიჭი, ჯონდოია, ვინაც ისე ვენდობოდი, როგორც უფროსს მძას! არა და რატომ მომბრუნა ასე მწარედ? რატომ ჩამიჭედა თავში ეს უაზრობა? განა მხოლოდ უხეირო და უწყინარი ხუმრობა დაერქმეოდა მის ამგვარ საქციელს? — ასეთ ფიქრებში შემომათენდა კიდეც.

გულთმისანმა მამამ არ დამაძალა, შეთქვა, თუ ვინ მასწავლა აგრე უკუღმართად ათამდე დათვლა, ხელი ჩაიქნია და ესლა მირჩია:

— დაივიწყე, შვილო, რაც მოხდა, ოღონდ მარტყუარა და თავქარიან ხალხს სათაფრე არ გაეკარო! ჭერ მეტისმეტად პატარა ხარ, რომ წუთისოფლის აკვარგზე პირდაპირ გელაპარაკო, მაგრამ, ხომ ხედავ, ვინაც ონავარმა და უგულომ, ალბათ შენზე ბევრად უფროსმა, დაგცინა კიდეც. ალბათ ერთობოდა. ზოგი ისეთია, როცა გილხინს ენით ნაკვერცხალს იღებს, გაჭირვებისას კი მგლის ყურს გამოიბამს...

ჩემს აცრემლებულ თვალებს რომ შეხედა, მამას გული დაეწვა:

— ნუ, მახარია, ნუ ტირი! ცოტა ხანს მოითმინე და ნისლივით გაიფანტება შენი დარდი...

ამ დროს თვალი უხელოდ მერცხლის ბუდისაკენ გამექცა.

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ!

თავიანთ ბუდეებს ხალისიანი ქლურ-ქულით დასტრიალებდნენ მერცხლები. ბარტყებიც ლამობდნენ მშობლებს აპყლოდნენ. ჭყიბინებდნენ და ჭყლობინებდნენ. მშობლებიცა და ბარტყებიც თითქოს ზეიმობდნენ. მათი ქლურ-ქული გამოუთქმელი სიხარულის ტალღად შეიჭრა ჩემს გულში.

ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ, ჭიკ-ჭიკ!

დასტრიალებდნენ კუდმარტყელ ფრთონები ცის კაბადონზე და მე, მათ შემხედვარეს, უკვე აღარ მახსოვდა იმ თავქარიანი ყმაწვილის სახელი, ვინც ერთხელ გულისტკივილი მარგუნა.

მამამ უმაღლეს იგრძნო ჩემი განწყობილების სასიკეთოდ შეცვლა და თითქმის ჩურჩულთ მკითხა:

— გიყვარს მერცხლების თველო ხეები?

— ძალიან, ძალიან მიყვარს, მამი!

— როგორ ფიქრობ, შვილო, რამდენი კუდმარტყელა დაგვტრიალებს ახლა თავზე?

მამის ეს შეკითხვაც უმაღლეს ავიტაცე:

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი...

მოლიმარმა მამამ მანიშნა, განაგრძეო, და მეც რა გამაჩერებდა:

— შვიდი, რვა, ცხრა, ათი... აგერ მეთერთმეტეც...

ხმამალა შევძახე და ხელები ისე გავშალე, თითქოს მსურდა იმ მერცხლებთან ერთად გავფრენილიყავ შორეულ, უცნობ მხარეში, რათა მომავალ განაფხულზე, უამრავი შთაბეჭდილებით აღსავსე, კვლავ დავბრუნებოდი საყვარელ სამშობლოს.

ხიზისწყლის არხის

ხიზისწყალი ჩემი საყვარელი მდინარეა, გოგა. ხიზულაშიც მიხილავს იგი, ხორგაშიც და ქარიატაშიც. ამ სოფლებს მე ვერ წარმოვიდგენ უხიზისწყლოდ.

ლამაზია ხიზულა, მეტადრე ზაფხულობით, როცა პატარა-პატარა ტოტებად დაყოფილი მდინარე ადგილ ლურჯად მილივლივებს, ადგილ კი გამჭვირვალეა და თეთრად მოკამკამე.

ხიზის ნაპირებზე ისეთი კენჭები იცის, რომ მათი შეგროვება არასოდეს მოგწყინდება. ამ კენჭებს მეც ვაგროვებდი ხოლმე, როცა სოფლის ნახირს მივყვებოდი საძოვარზე. მართალია ხიზულელი არ ვიყავი, მაგრამ როგორც სტუმარს, პატივისცემით მეპყრობოდნენ, — შინ არა მტოვებდნენ. დატოვება კი არა, ტოლი ბიჭები ყველაზე ადრე მე მომადგებოდნენ ჭიშკარზე.

— ქალაქელო, გაიღვიძე?

— არა, ჭერ ისევე შუა ძილში ვარ! — გავძახებდი და ბიძაჩემის კამეჩს ბაკიდან გამოვუშვებდი, თან ბიძაშვილებს ვანიშნებდი, ჩუმად გამომყოლოდნენ, რომ პატარა ოთიკო არ გამოგვტოვებოდა. მასაც სურდა კამეჩის ზურგზე შესკუბებულყოფა და ისე ესეირნა მდინარემდე, რომლის ნაპირებზეც ვაძოვებდით კამეჩებს.

ჩვენც გვინდოდა ოთიკოს წაყვანა, მაგრამ კატო ბიცოლა არ გვანებებდა: ეგლა მაკლია, ეს ბარტყიც არ დამიტოვოდ, ვინმეს ხომ უნდა შეხედო, მოვეფერო, ხმა გავცე და ხმა გამცესო.

მოფერებისა კი რა მოგახსენო! მკირე საბაბიც კმაროდა მისთვის, რომ მოწყლოდა ჩვენს გაპრიალებას: რას არ გვეტყოდა, რა „ცოდვას“ არ მოგვანერდა:

— ხელის განძრევა გეზარებათ, წიგნის აღება გავიწყდებათ, ლუკმა პირიდან გივარდებათ, გზაბნეული ხბორებივით შინისაკენ ვერ ავუნებთ, ძილი დროზე არ იცით და სიფხიზლე...

უსიტყვო და შრომისმოყვარე ძია სანდრო მიამიტად გადახედავდა თავის მეუღლეს. განა არ ვგრძნობდით, დიანაც სურდა ჩვენი გამოქომაგება, გადამეტებული რისხვის შენელება მინც, მაგრამ მძას არ იღებდა: იცოდა, ცეცხლზე ნავთის დასხმას უღრიდა კატოსთან შეაქერება.

ითმენდა, ითმენდა და ბოლოს მაინც ვერ მოითმენდა:

— კარგი, კატო, დამშვიდდი. დამშვიდება კი არა, მაშინ იწყებოდა აფეთქება:

— გამოუჩინდა დამცველი საცოდავებს! მერე და ვისგან იცავ, პა? შენზე ნაკლებად შემტკივა გული? შენზე ნაკლებად გამეხარდება მაგათი სიკეთე? მითხარი, თორემ გადავწყვი აქაურობა და ეს არის. ავდგები და წავალ გამფერლში, ჩემს სოფელში წავალ. ჩემიანები სიბჭვანე კი არ სახლობენ, ჯონით კი არ გამოემკიდებიან. ჩამაცმევენ, დამახურებენ, ორიოდ ლუკმას არ დამამაძლიან...

ამის თქმაზე ყველანი, ჩვენ, ბავშვები, ერთბაშად გავიხედავდით აფენისაკენ, სადაც ბებიჩემის თითისტარი გამუდმებით ზუზუნებდა, ამ ზუზუნში მკაფიოდ ისმოდა თითისტარის პატრონის აულელვებელი პასუხი:

— შვილო, კატო, ხომ არ დაგავიწყდა, ვისი რძალი ხარ? ზუგდიდ-ქალაქში ქუჩაზე რომ მივდივარ, ახლო ჩავლას ვერ მიბედავენ: ბეწვიანი ქურქი არ გაუფუჭდესო, ამა და ამ კაცის სიდედრი არისო.

დამცინავად გადახედავდა თავის ჯანიან და ნათელსახიან რძალს, თითისტარს ძალუმად დაატრიალებდა და განაგრძობდა:

— ჰოდა, იმას ვამბობდი, ბედმა გაგილიმა, ამ სავსე და სახელიან ოჯახში შემოვგამანდი, მთელი სოფლის ბურჯი გაგიზარდე, გვერდში ამოვიყენე და როგორ, ახლა აღარ მოგწონს? რომ დამღვარხარ და მითათხავ შეილსაც და შეილომფილებსაც, სამართალი არა გაქვს? ვისაც ჩემი ვაზრდილი არ ეპიტნავენ, ოთხივე კუთხივ გზა ხსნილი აქვს, გინდა გამფერლში წაბრძანდეს და გინდა წებელდაში...

— მაშ, მე წავიდე წებელდაში, დედა, პა? — ისე ამბობდა ბიცოლა, ჩანდა, რომ მასაც ჩემსავით ცხრა მთას იქით ეგონა ეს ადგილი.

— შენ რათა, შვილო?

— აკი ახლა არა ბრძანეთ, პა?

— მე იმაზე ვამბობდი, ვისაც ჩემი ვაზრდილი თვალში არ მოსდის-მეთქი, შენ კი, გიყვარს, შვილო, კატო, ძალიანაც გიყვარს!

ამ სიტყვებზე ორივე მოდავეს კეთილად გაეღიმებოდა, ჩვენ კი ჩუმად ვხითხითებდით.

ასეთი დასასრულით კმაყოფილი სანდრო განგებ იტყოდა:

— ზევ დიდი ჯათა მოვლით მეხრებეს. ჩვენ გვიწყევს ნახირში წასვლა.

სინარულით მოველოდი ჭერის დადგომას. წინა დღეს კატო ბიცოლა ერთ ამბავში იყო ხოლმე: ხაჭაპურებს დააცხობდა, ქათმებს დაკლავდა, მწარე და სურნელოვან აჯიკას დაგვიმზადებდა, ელარჯივით ღომს მოხელდა, მერე ყოველივე ამას გოგრის დაცვარულ ფოთლებში გავვიხვევდა, მოზრდილ კალათში ჩავვილაგებდა და, პერი, მინდვრებისაკენ!

სოფლის ნახირი მძიმედ გაიჭიმებოდა ორლობებში, მიიზღაზნებოდნენ შავ-შავი გოლიათები. თავში ძია სანდროს კამეჩი იდგა, რომელსაც „ჯიუტი“ ერქვა. მიაბიჭებდა ზანტად, ამაყად, თავმომწონედ, წინ არავის გაუშვებდა, იქნებ უხაროდა კიდეც, რომ თვითონ იყო მეგზური და მეტაური.

მდინარისაკენ დაძრული ნახირი გზადგზა იზრდებოდა. სოფლის ყველა უბნიდან მოერეკებოდნენ და გვაბარებდნენ თავიანთ პირუტყვს.

ჩინებულად ვიცოდით ჩვენი კამეჩების ავი და კარგი. მგონი, ისიც ვიცოდით, რომელს რამდენჯერ აეწყვიტა და ყანაში რამდენჯერ გადააარულიყო.

მე და ჩემი მეგობრები ერთმანეთისაგან თამამად ვარჩევდით თითოეულ მათგანს.


— ეს ხომ ძია გიორგის „კვანტია“

— ეს ის ზაქია, ველოდიმ და არველოდიმ რომ გადაავდეს ხრამში!

— აჰა, ძია პეტრეს ხეკაყუნა!

პეტრე ბიძაჩემის მეზობელი და ახლო ნათესავი იყო. მალაღობ და ლამაზი ოდა სახლი ედგა, აივანიც ფართო და ჩუქურთმიანი. ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა: ამ ოჯახში მამის გარდა ორი ხელმოჭედილი ვაჟკაცი ტრიალებდა.

მე ორივე მძასთან ვმეგობრობდი, განსაკუთრებით მიყვარდა უფროსი — აკაკი, წიგნზე თავგადაკალული კაცი, იმ არე-



მარეში სახელგანთქმული ღურგალი. მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომლის ხშირი სტუმარიც ვიყავი სოფელში ყოფნისას. რაც უნდა საქმე ჰქონოდა, მაინც წამოდგებოდა ოსტატი, ხელებს საგულდაგულოდ გადაიბანდა, შეიმშრალებდა და შევიდოდა იმ ოთახში, სადაც წიგნები ელაგა.

პეტრეს უფროსი ვაჟი განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდა თავისი დიდი სენიის თხელკანიან ტომებს, რომლებზეც პოეტის ჭალარა თავი ეხატა.

უნდა გენახათ, როგორ იღებდა ხელში თითოეულ ამ წიგნს ჩემი მასპინძელი! სახელოთი მტვერს მოაშორებდა, რამდენიმე გვერდს გადაფურცლავდა, საყვარელ ადგილებს იბოვიდა, ორიოდ ლექსს ხმამალა წამიკითხავდა და მეტყვოდა:

— აჰა, წაიღე, ვახუშტი.

— ძია აჟაკი, ნიავსაც არ მივაკარებ.

— ბიჭო, რას ბოდიშობ, პირველად ხომ არ მივაქვს წიგნი!

მართლაც პირველად როდი მიმქონდა. თითქმის ყოველ ზაფხულს ამ სოფელში ვატარებდი.

რა დასამალოა, სასტიკად მქონდა აკრძალული ამ წიგნების განათხოვრება. თავდაც არავის ვენდობოდი. როცა სათამაშოდ მივიდიოდი ან ვიძინებდი, წიგნს ვებერთელა სკივრში ვინახავდი.

ერთ მშვენიერ დილას ჭიშკართან ვილაკამ დაიძახა:

— ქალაქელო, გაიღვიძე?

— ახლა ვაპირებ დაძინებას! — გავეპასუხე და იქითკენ გავქანე, საიდანაც მეძახდნენ.

— მოიცა, ბიჭო, აი, ის წიგნიც თან წამოიღე, წუხელ რომ გვიკითხავდი!

— „ჩემი თავგადასავალი?“

— შენი კი არა... აი, იმისი... აჟაკი წერეთლის თავგადასავალი.

მე გამეცინა. ჩემიანებმაც ვერ შეიკავეს თავი და ახარხარდნენ.

მეზობლის ბიჭი დაიბნა. იქნებ ამიტომაც მიჩივიდა:

— წამოიღე, ვახუშტი, სამხრობის შემდეგ გავაგრძელოთ კითხვა.

მივევარდი სკივრს, რის ვაი-ვაგლახით ავხადე თავი, წიგნი ამოვიღე და უბეში შევიხაზე.

ხალისიანად დავბობოდი ბიჭები, მინდორზე გაშლილ ნახირს მარჯვდ ვედუქით. კამეჩები ხან რქებით ბულრაობდნენ, ხან დინჯად შეექცეოდნენ ლორთქო ბალახს. ზოგი ჭირვეული თხმელის ხშირ ბუჩქნარში იმალებოდა, ზოგი მდინარის სხვადასხვა ტოტისაკენ მიიწვედა, ზოგსაც ტყისპირას წამოქოჩრილი სიმინდისაკენ ეჭირა თვალი. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, არ ვუშვებდით თავიანთ ნებაზე.

კარგა რომ დავილაღეთ და კამეჩებიც საიმედოდ დავიგულეთ, თხმელების თხელ ჩრდილში მოვიყარეთ თავი, წიგნი გავშალე და კითხვა დავიწყე. სწორედ იმ ადგილას მივედი, ვაკვეთილზე პატარა კაკოს ჯიბიდან ცხელ მჭადს რომ ამოაყოფინეს თავი.

ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ამ ამბით გამოწვეული ხარხარი, როცა ტყუშმა ძმებმა — ველოდომ და არველოდომ, რომლებსაც ერთმანეთში მშობლებიც ვერ არჩევდნენ, წამოიძახეს:

— არიქა, ბიჭებო...

— სანდროს კამეჩი გავგებარა!

— ჩვენი „ჯიუტი“! — შევეყვირე მეც და კამეჩს მივეყვირე ფეხდაფეხ. წიგნი ხელში შემჩრა და საჩქაროდ უბეში დავმალე. ჯერ ნელა ავედენე ქურდულად მიმაგალ კამეჩს, მერე გზა მოვუჭერი და მისთვის სრულიად მოულოდნელად ზურგზე შევახტი, გამწარებულმა პირუტყვმა ერთი დაიზმუვლა, მინდორზე დატრიალდა, წრე გააკეთა და მდინარისაკენ გაიქცა, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ წყალში ჩაწვა. ცივი წყალი ეამა ნასიცხარს, დამშვიდდა, ამოდ შევეცადე, ფერდებზე ფეხების ტყაპუნით ამეყენებინა. ამასობაში სხვა კამეჩებმაც იძალეს და ჩვენს შორიასლოს ჩაცვივდნენ მდინარეში.

„ჯიუტი“ ისე მშვიდად იყო ჩაწოლილი კამკამა ტალღებში, რომ ჩემი აქ ყოფნა აღარც კი ახსოვდა. ბიჭებმა მიჩივიდა, რომ იცი მაგის ხასიათი, დიდხანს არ წამოიღებ, აი, ასე იჯექი და კითხვა განაგრძე, მეც რალა მქონდა საწინააღმდეგო.

ბიჭები იქვე მდინარის პირას ჩამოსხდნენ, სახეები ხელებში ჩარგეს, ფეხები წყალში ჩაყარეს და სულგანაბულნი მისმენდნენ.

გაღმავიწყდა მდინარეც, კამეჩიცა და მისი არსებობაც. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ სულაც არ მჭირდებოდა ხმის ამალღება.

დიდი პოეტის თავგადასავალი გამაბრუნებლად მოქმედებდა ჩვენზე. გულში გვწვდებოდა, გვაღელვებდა, სადაც იმედსაც გვინერგავდა, გვაოცებდა კი, რომ ასეთ ადამიანს ასე უბრალო ბავშვობა ჰქონდა.

შუაღლე იფერფლებოდა, ძალას კარგავდა. მე კი კამეჩის ზურგზე არხეინად ფეხმორთხმული, განვაგრძობდი კითხვას.

ბოლოს და ბოლოს „ჯიუტსაც“ მოსწყინდა ნებივრობა. ზანტად გაიზმორა, თავი ჯერ წყალში ჩაყო, შემდეგ ზე ასწია და წამოდგა, წამოდგა და იქით წავიდა, სადაც წყალი უფრო ღრმა იყო. მოულოდნელად ჩავსრიალი კამეჩის ზურგიდან. მე უკვე ფეხი მდინარის ფსკერზე მედგა, მაგრამ ხელების მალა აწევა კი მოვასწარი.

დინება არ იყო მაინცდამაინც ძლიერი და ჩქარი, გამოსვლა მაინც გამიჭირდა, ნაპირისაკენ ნელა მივიდიოდი, ვშიშობდი, ფეხი სადმე ღრმულში არ ჩამვარდნოდა, ან ქვაზე არ დამსხლტომოდა.

სამშვიდობოს გასულმა შიშით შევათვალიერე წიგნი, რომლის დაკეცვაც ვერ მომესწრო თურმე. წყლის სამიოდე წერტილი აჩნდა იმ გვერდზე, სადაც პოეტის დედის სახე იყო დახატული. მე ახლაც არ ვიცი, მდინარის წინწყლები იყო იგი, თუ ჩემი ცრემლი...

თეონი ნიშნი

სალარი ისეთ ცხენსა ჰქვია, რომელსაც შუბლზე თეთრი ნიშანი აქვს. ჩვენს ცხენსაც სალარის ვეძახდით. სახელი ვერ ჰქონდა ლამაზი, მაგრამ იმისთანა ჰქვიათ ცხენი მთელ ზუგდიდში არ მოიძებნებოდა თურმე. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა მამას.

ხუმრობა იქით იყოს და, მეგონი, შვილებში არა ჰყავდა გამორჩეული. თავისი ხელით აშქვევდა თივასა და ლორთქო ბალახს, თითებით უვარცხნიდა ფაფარს.

ხშირად მინახავს სალარისთან მღვარი, ჩაფიქრებული მამა. იქნებ თავისი მღელვარე სიჭაბუკე აგონდებოდა, შორეულ ცისქვეშ გათენებული სუსხიანი ღამეები, ან კიდევ ვიწრო სანგრებში შუქივით შეჭრილი სიტყვა „თავისუფლება“. ამ სიტყვის ძალამ გახალა იგი ბოლომდევი — მამვრალი ხალხის ბედნიერებაზე მეოცნებე.

პატრონის ფეხის ხმას შორიდანვე გრძნობდა სალარია. ცეცხლისფერი სხეული შეუთრთოლდებოდა და გონიერ თვლებში შუქი ჩაუდგებოდა. კისერს რომ მოიღერებდა და დაიჭიხინებდა, გული სიხარულით მევსებოდა.

— ერთხელ მამამ აიგინიდან გადმოძახა:

— ცხენი სამჭედლოში გადაიყვანე, ვე-

რა ხედავ, როგორ კოჭლობს, ნალები გუცვდებოდა, ვახუშტი!

— იაკობ ბიძია უარს არ იტყვის?

მამას ჩაეცინა.

უარისა იმიტომ მეშინოდა, რომ ერთხელ ცხენი დაუკითხავად მივაყენე იაკობ მჭედელს. თურმე ნუ იტყვი, ახალთახალი ხალები ჰქონდა. მჭედელმა დამიტატანა: ეგეთები არ იყოსო. მამის ყურამდეც მივეღწია ამ ამბავს, მაგრამ თავს ისე იჭერდა, თითქოს არაფერი იცოდა.

ტოლ-ამხანაგებს სასწრაფოდ შევატყობინე:

— სალარია სამჭედლოში მიმყავს!

ეზო ათი-თორმეტი წლის ბიჭებით აიგოს.

— ვითომ რითი ვარ თქვენზე ნაკლები! — შემეხმინა მეზობლის შავტუნა გოგო ელენე. გვიხაროდა ჩვენს წრეში ელენეს გარევა. მაინც პირველად არასოდეს შევთავაზებდით წამოსვლას: ეს ჩვენი, ასე ვთქვათ, ღირსების შელახვად მიგვაჩნდა.

სამჭედლოსაკენ გავეშურეთ. მივიდიოდით, მაგრამ სად იყო სამჭედლო? რომ იტყვიან, სწორედ ყურის ძირში: ჩემი სახლიდან ასი ნაბიჯი არც იქნებოდა.

კეთილი და დაულალავი კაცი იყო იაკო-

ბი. სტუმრებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, მუდამ მხიარულად ხვდებოდა, დღე და ღამე თავაუღებლად ბერავდა თავის საბერველს, ნალებს აკრავდა ცხენებს, ხარებსა და კამეჩებს. ბევრჯერ მინატრია იაკობს დავმსგავსებოდი ოსტატობაში. მართლაც, საოცარ ოსტატად მეჩვენებოდა იგი. აიღებდა რკინის ქანგიან ნაჭერს, გაავარვარებდა, გაალოლოდა და რამდენიმე წუთში იმას გამოსჭედდა, რასაც ისურვებდა. ალტაცებით შევეყურებდით მისი ხელების მოძრაობას. ჩვენი იაკობი ყველაზე ღონიერიც გვეგონა მთელ ზუგდიდში: ხშირად გვიხილავს, მიწაზე რომ გააკრავდა დასაჭედად მოყვანილ ხარსა თუ კამეჩს.

სოხუმისა და კირცხის მიმართულებით მიმავალი მეურმეები თუ ცხენოსნები ამ სამჭედლოსთან შეისვენებდნენ, წაიხემსებდნენ (სანდრო ლუკაშვილის პატარა ჯიხურიც ხომ იქვე იდგა!) წაისაუბრებდნენ და გზას გაუდგებოდნენ. ქვეყნის ჭორი და მართალი იქ ითქმოდა. რამდენი რამ მომისმენია იაკობ ჯანაშიას სამჭედლოში! რამდენი ტკბილი ოცნება და თამამი ფიქრი გამღვიძებია მის ჭკარტიან კედლებთან!

აქ ნანახი მრავალი ადამიანის სახე ჩამ-

რჩენია მესხიერებაში, საღაც მიმალული და დანისლული. ცოტა რამ არის საჭირო, რომ თვალწინ აღუვარდნენ მათი სახეები. აი, იმ სამჭედლოსაკენ მიგვყავდა საღარია. სამჭედლოს წინ დაბალ სკამზე ძლივს ეტეოდა შენთვის უკვე ცნობილი მიხაკო ჩიქიძე. მუდამ მოლიმარ და ტანმორჩილ სანდრო ლუკაშვილს გვერდით ეჯდა ახოვანი, ზამთარ და ზაფხულ ჩონა-ახალუხში გამოწყობილი ღურუ მხეიძე...

ჩუმად საუბრობდნენ ისინი, როცა მამაჩემმა ჩამოიარა. მორიდებით მიესალმნენ. ხნოვანებით უფროსები იყვნენ, ფეხზე მაინც წამოუდგნენ.

მამამ უხერხულად იგრძნო თავი. — გამარჯობათ. დაბრძანდით, დაბრძანდით! — თქვა და გაეცალა სამჭედლოს.

იაკობს შემოვხევეთ, დაიწყეთ ცხენის დანახვის ხანგრძლივი ცერემონიალი. ნალბანდმა აღვირი ჩამომართვა, რომელიც მე მეჭირა, როგორც ყველაზე უფლებამოსილს. ცხენს მბზინავ ვავაზე ხელი გადაუსვა, ძუაზე ჩააცურა და წარმოთქვა:

— ყოჩაღ, ბებერო!

ამგვარი სიტყვა ისე მივიღე, როგორც პირადი შეურაცხყოფა. სხვას ვის ვაპატიებდი, მაგრამ აბა ძია იაკობს როგორ შევუბრუნებდი სიტყვას.

სამჭედლოდან ახალმთვარესავით პრილა ნალები გამოიტანა, გადათვალა და ვიღრე საქმეს შეუდგებოდა, საბერველზე გვანიშნა. რიგრიგობით ავაგიზგიზეთ ცეცხლში ჩაყრილი რკინები და ძალე ისევ ცხენისაკენ გავიქეცი.

როცა ნალბანდმა შესაფერი ზომის ნალი არჩია და ჩაქუჩიც მოიძარჯვა, საღარიამ მორჩილად ასწია ფეხი. მეც ფრთხილად მოვკიდე ხელი და ცხენის ფლოქვი ჩაქუჩს შევუშვირე. ძალიან კი მეცოდებოდა ჩვენი საღარია! ნალებს რომ აჭედებდნენ, თითქოს გულში მიკაკუნებდნენ მეგონა, სტიკოდა.

საზეიმოდ ჩავიბარე დანალული ცხენის აღვირი და მონახლისეთა მთელი გუნდი კვლავ უკან გამოჰყვა საღარიას, ახლა უკვე მდინარისაკენ. ცხენი ვაბანავეთ და ჩვენც დიდხანს ვიცურავეთ.

უსაღარიოდ არათუ ჩვენი მწვანე ეზო, ჩვენი უბანიც კი ვერ წარმოვადგინა. ისიც მწყინდა, ხანდახან საძოვარზე რომ გზავნიდნენ მთაში. ნუგვმად ისლა მქონდა, იქიდან ყოველთვის გასუქებული ჩამოჰყავდათ.

საღარია კი სუქდებოდა, მაგრამ მე არაფერი მეშველა, ჩხირივით გამხდარი სათოფეზე არ ვეკარებოდი საჭმელს. ჩემი მთაში წაყვანა ურჩიეს მამაჩემს ექიმებმა.

ონაჩქე! — ასე ჰქვია სამეგრელოში

ერთ მთას. ადრე იგი ზუგდიდლების საყვარელი სააგარაკო ადგილი იყო. მამის არჩევანი სწორედ მასზე შეჩერდა. ურმით ვიარეთ, ვიღრე ხარებს შეეძლოთ გზის გაკვლევა, მერე კი ჩალვადრებისა და საღარიას თანხლებით ვაგწიეთ მალლა...

გზა ისე ვიწრო იყო, ორი ცხენი ერთად ვერ გაივლიდა. ცხენები ერთმანეთის ნაკვალევში დგამდნენ ფეხებს. ჩვენს ცხენს ჯერ კიდევ არ ევლო ამ გზაზე და სულ ბოლოს მიდიოდა. ყველანი ფეხით მივდევდით მოაგარაკეთა გრძელ ქარავანს. დავიღლებოდი და ცხენზე შემსვამდნენ, ძალას მოვიკრებდი და ისევ ფეხით სიარული მომიხდებოდა.

მთა მთაზე მალდებოდა და გზას დასასრული არ უჩანდა. რამდენი ხანია, რაც იმ გზაზე არ გამივლია, მაგრამ ახლაც კარვად მახსოვს მისი ასავალ-დასავალი, ყოველი აღმართი თუ ჩაღმართი, ბუმბერაზი ხეებით გადაჩრდილული.

მოჩხრილოე ლელები უამიყამ გადავირბენდნენ, შეგვაჩერებდნენ, შეგვაყოვნებდნენ და კვლავ გაგვიშვებდნენ. წინ მიმავალი მამაჩემიც შეჩერდებოდა, მისხნიდა და მაჩვენებდა ყოველივეს. ბავშვით ვიხარებოდა ეს თითქმის შუახნის კაცი. დანიახავდა თუ არა გზისპირას ვაშლილ ყვავილს, შემეკითხებოდა: ლამაზია, არა? არ მოწყვიტო, სხვა გამვლელმაც იხილოს!

ასწლოვან ხეს რომ შეხვდებოდა, უსათუოდ შემოუვლიდა ირგვლივ, ფულურო ხომ არ გასჩენიათ. უდგილო ადგილას მოჭრილ ხეს რომ მოჰკრავდა თვალს, აენტებოდა:

— გაგვიგონია? კაცია ახლა, ეს ვინც აჩება?

ბილიკებიდან ტრიალ მინდორზე გავედით. მალალი და მწვანე ბალახი ბიბინებდა ირგვლივ. საღარია უკვე დასვენებული იყო, მე კი საკმაოდ დაქანცული. ვითხოვე, ცხენზე შემსვით-მეთქი. ერთ-ერთმა თანამგზავრმა სწრაფად ამიტატა ხელში და უნაგირზე დამსვა.

უნაგირს მაგრად ჩავეკიდე, ცხენი ავაჩქარე. როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ უნაგირი გადასრიალდა და ცხენის მუცელქვეშ მოვექეცი. თურმე მოსართავები არ ჰქონდა მოჭერილი. მიწაზე დავენარცხე და შეშინებულ ცხენს ზედ ჩემზე უნდა გადაავლო, რომ გაისმა:

— არ დამლუბო, საღარია!

მთებმა უფრო ძალუმად განიმეორეს მამაჩემის ეს შემზარავი ძახილი. შედგა საღარია, უკანა — მარჯვენა ფეხი, რომელიც გასრესით მემუქრებოდა, ჰაერში

გაეყინა. ვიღრე არ გამომიყვანეს, ფეხი დაბლა არ დაუშვია. მამას მეც კი დავავიწყდი და საღარიას მივარდა, ფეხარზე ტყელი შეავლო და თვალეში აკოცა.

არასოდეს მინახავს ცხენი მამაჩემს თვალეში. მხოლოდ მაშინ იელვა მდულარე კურცხალმა მის გუგებში. პირუტყვისა და ადამიანს თავები მიედოთ ერთმანეთისათვის და მიძიმედ სუნთქავდნენ.

სწრაფად წამოვიჭერ ფეხზე, თითქოს აქ არაფერიყო, ტანისამოსი გავიფერთხე, თუმცა გასაფერთხი რა მქონდა: აბიბინებულ მოლზე დავცემულვარ, მხოლოდ თეთრი ხალათი მქონდა გამწვანებული.

ამის შემდეგ საღარია უფრო შემეყვარდა. მამა ხომ უფრო ნაზად ექცეოდა. იქნებ იმიტომაც, რომ ათას ქარიშხალგამოვლილ და ნომარ ცხენს წლები ემატებოდა და ძალ-ღონე აკლდებოდა.

სოფელში ერთ თავის ფრონტელ მეგობარს გააყოლა მამამ საღარია: რძიანი ბალახი და სუფთა ჰაერი მოუხდებოდა. მდინარემდე ტირილით გავატილეთ ბავშვებმა.

მას შემდეგ საღარია აღარ დავინახავს, — არც ჩემი უბნის ბიჭებს, არც მე და არც მამას. ან კი როგორ ნახავდა ბედშავი მამაჩემი, როცა იგი ათას ცხრასს ოცდაჩვიდმეტი წლის ღრუბლიან სექტემბერში ჩვენთვისაც სამუდამოდ დაიკარგა.

ერთხელ, შებინდებისას, ჰიშკარი გაილო და მამაჩემის ის ფრონტელი მეგობარი შემოვიდა. აქეთ-იქით იცქირებოდა, ვვონებ, არ სურდა, ვინმეს დაენახა ამ ეზოში შემოსული, შემკრთალი თვალეები მიმოატარა ირგვლივ და თავზე ხელები გადაამისვა, დუმდა, მაგრამ, თვითონ რას მეტყუოდა იმაზე მეტს, მისი ათრთოლებული, კოჟრინი ხელები რომ მეუბნებოდნენ!

სხვა რომ ვერაფერი მოვანერხე, საღარია ვიკითხე.

— კისერი მოქეცა ჰიშკარისაკენ ცქერით, შვილო! დღედაღამე ჰიხვინებდა, დარდობდა, თვალეებით ვილაცას ეძებდა. საგანგებოდ მყავდა ჩამწყვდეული დობერაში, ერთხელ როგორღაც გაპარულიყო. ალბათ აქეთ გამოიქცა. გზაზე სატვირთო მანქანა დასჯახებოდა, შუბლი გასტეხოდა და თეთრი ნიშანი წითლად ჰქონდა შეღებილი. როგორ ელოდა მის დაბრუნებას...

მამაჩემის ხსენება ეწადა და ველარ გაბედა.

...ახლაც აუღელვებლად ვეღარ ვუყურებ თეთრშუბლა ცხენს.

ჩვენი საღარია მაგონდება, ყურში ჩამესმის მისი ჰიხვინი და ანაზლად ქვაზე გავკვსებული ნალების წკრიალი.



მეგობარი

კი მაგრამ, როგორ?

დაგივიწყებდი... კი მაგრამ, როგორ?
ჩემს არსებაში შენა ხარ მხოლოდ,
გადაგივიწყებ, სულ მალე, ოღონდ
დავემსგავსებ გასრესილ ფოთოლს,
დავემგზავრები ეჭვსა და ორჭოფს,
დარდებს გავუყოფ იორს და ჭოროხს...
დაგივიწყებდი... კი მაგრამ, როგორ?

ეს ლექსები აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის
სათვის ზვილიწვილს, კითხულსა და გულის-
ხმიერ ახალგაზრდას, დაუვიწყარ გოგი ჩო-
გოვაძის ბაღაუცია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სა-
კურნალო ფაკულტეტის მისამ კურსის წარ-
ჩინებული სტუდენტი ნატო ლეჩუაშვილი და-
იბადა 1963 წელს, თიანეთში. მისი ლექსები
პირველად პვენდობა.

ნატო ლეჩუაშვილი

ფოთლის აღსარება

უცნაურად დავიღალე,
უცნაურად მოვწყდი ტოტს,
უცნაურად ვიფარფატე,
მოვხვდი შორს, ძალზე შორს;

უცნაური რამე ვნახე,
უცნაური ქვეყანა,
ყველა სახლის სახურავზე
სულ ფოთლები ეყარა.

უცნაურად სუნთქავდნენ და
უცნაურად მღეროდნენ,
უცნაური მოთმინებით
ზამთრის მოსვლას ელოდნენ.

უცნაურად დავიღალე,
უცნაურად დავეშვი
შენი სახლის სახურავზე
შემოდგომის ღამეში!

არა, ნუ ნახვალ

მე ვერ ავიტან განშორებას,
მე ვერ ავიტან,
გოლგოთის მთაზე სიყვარულის
ულელს ავიტან,
ოღონდ ნუ წახვალ, ნუ დამტოვებ
განცდების ტყეში,
შენთან სიშორეს, ერთობას
მე ვერ ავიტან.
მე ვერ ავიტან სიმარტოვის
მოსვლას თავიდან,
ოღონდაც დარჩი, სამსხვერპლოზე
ჩემს გულს ავიტან,
ოღონდ ნუ წახვალ, ნუ დამტოვებ
ცრემლების თქეშში,
განმხოლოებას, განშორებას
მე ვერ ავიტან.
მე ვერ ავიტან დაკენტებას,
წუთით, წამითაც,
ველარ გამოვალ უშენობის
შავი ღამიდან,
დავიკარგები მარტობის
დახლართულ გზებში,
გიჟურ სურვილს და მონატრებას
ვერ გადავიტან,
არა! ნუ წახვალ, უშენობას
მე ვერ ავიტან!

ვაგროვებ ფერებს:
წითელს და ლურჯს,
ყვითელს, ყავისფერს,
ბაცსა და მუქს,
მწვანეს და ცისფერს,
იისფერ ჩუმს,
შავი ფერი ხომ საერთოდ სღუმს.
ბოლოს შევკონავ
პალიტრას სრულს,
სადმე ვიშოვი
ჯადოსნურ ფუნჯს,
ლექსებს დავხატავ
მრავალჯერ თქმულს,
ფერებს ვაგროვებ:
ბაცსა და მუქს...

ოცჯერ ვითოვლე და ოცჯერ
ვიფეთქე,
ოცჯერ ვიკრიფე და ოცჯერ
ვითესე,
ოცჯერ დავიბადე, ოცჯერ
ვიმღერე,
ოცჯერ ვისადავე, ოცჯერ
ვიჭრელე,
ვილურჯე, ვიმწვანე, ცისფერი
ვიფერე,
სიზმარი ვიზმანე,
სულ ზღვებად ვიღლევე,
თავთავად დავსკიდი და ოქროსფრად
ვიბეღლე,
ნაზად ვიწამწამე, მღვრიედ
ვითერგე,
ზეცა ვისტუმრე, ღამე ვიდღევე,
თვალი ვაზღვისფერე,
ფიქრი ვიმხედრე,
ოცჯერ ვიელვე, ოცჯერ
ვიმეხე.

რაც არ უნდა ილურჯო,
რაც არ უნდა ილიმო,
სულ ერთია, გაჯობებს
ლურჯზე ლურჯი ღიღილო.
თუნდ იფურცლო კეკლუცად,
თუნდ გადიქცე ღიმილად,
სულ ერთია, დაგჩრდილავს
უთეთრესი გვირილა.
მთვარე ფეხად რომ გეცვას,
ტანად დილა მზიანი,
სულ ერთია, გჯობნიან
დეკანი და ღვიანი,
სიფრიფანა ცისთვალა,
ენძელა და იანი,
ყოჩივარდა, ბაია,
ბუჩქი ზამბახიანი.
რაც არ უნდა ილურჯო,
რაც არ უნდა ილიმო,
სულ ერთია, გაჯობებს
ულურჯესი ღიღილო!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგონა, ძლიერი ვიყავი,
თურმე სულ არ არის ასე,
მეგონა, ამაყი ვიყავი,
ლალი ჩანჩქერივით სავე,
მეგონა, უდარდელი ვიყავი,
ახლა ვერსად ვმალავ სახეს,
მეგონა, საოცნებო ვიყავი,
ყველა მეველებოდა თავზე,
მეგონა, შენც გიყვარდი ყოველთვის;
სულაც არ ყოფილა ასე!

ვიცი...

ვიცი, დამტანჯავს ფიცი,
ვიცი, უალოდ ვიწვი,
ვიცი, დამახრჩობს ფიფქი,
ვიცი, გამქელავს ფიქრი,

გონება სულ შენკენ მიქრის,
შენ კი სულ სხვისკენ ილტვი,
ვიცი, სხვისი ხარ, სხვისი,
ვიცი, ყველაფერი, ვიცი!

ნეტავ ისევ ვიყო...

მამაჩემს არ უხდება ჭალარა,
დედაჩემს არ უხდება დარდი,
ნეტავ ისევ ვიყო პატარა,
ნეტავ ისევ ვიყო ბალლი.

ღამე მთები ისევ ლურჯდება,
იორიც უწინდელად გარბის,
ნეტავ ისევ ვიყო პატარა,
ნეტავ ისევ ვიყო ბალლი.

ზამთრობით ზეცა ისევ ფითრდება,
ჭიუხში ისევ წვეება ჯანლი,
ნეტავ კვლავ მაქცია პატარად,
ნეტავ ისევ ვიყო ბალლი.

ვილაცა ისევ დადის ტაატით,
ბავშვურად კიბე-კიბე არბის,
მეც მინდა, ისევ ვიყო პატარა,
მეც მინდა, ისევ ვიყო ბალლი.

სულ მალე საფიქრალი დამტორავს,
მალე სიმღერაც კი დამღლის,
ნეტავ ისევ ვიყო პატარა,
ნეტავ ისევ ვიყო ბალლი.

არც მამას უხდება ჭალარა,
არც დედას უხდება დარდი,
ნეტავ ისევ ვიყო პატარა,
ნეტავ ისევ ვიყო ბალლი.



...
 ჩემი ცხოვრება სავსეა შენით,
 შენი სუნთქვით და თვალების ფერით,
 თმებით, ტუჩებით, ალერსით, მზერით,
 ჩემი არსება სავსეა შენით!
 ჩემი ღღეები სავსეა თმებით,
 ჩემი სისხლბორცი — მზითა და რწმენით,
 მხრებით, მკლავებით, თვალებით, ყელით,
 ჩემი არსება სავსეა შენით!
 ჭორით, ოცნებით, იჭვნეულ სენით,
 ტყუილით, მართლით, ბოროტი ენით,
 ზღვა სიყვარულით, პატარა წყენით,
 მთელი სიცოცხლე სავსეა შენით!
 ასე მგონია, მე შენით ვცოცხლობ,
 ასე მგონია, ვსულდგმულობ შენით!

რისთვის ნეტავ?

ჩამოიქცა ზეცა, ქარი ღრუბლებს კეცავს,
 რატომ ნეტავ,
 ცრემლი კარებს კეტავს, უტირია მზესაც,
 რატომ ნეტავ,
 გული ძლივსდა ფეთქავს, უომია კენტავს,
 რატომ ნეტავ,
 არ დავეძებ ჩემს თავს, უშენობა მერქვას,
 რისთვის ნეტავ,
 შენთვის მხოლოდ გავაუღვებ ელვას,
 დავიჯერო, ხელავ?

დავიზნევი და...

სიშორით ვწვლობ, სიშორით გეტრფი,
 რამდენი რამ მაქვს სათქმელი შენთვის,
 და მერე, როცა მომძებნი, მოხვალ
 დავიზნევი და ვერაფერს გეტყვი...

მხოლოდ შენ გელი...

როდესაც ვმღერი, ბანს მაძლევს გრემი,
 როდესაც ვმღერი, გუგუნებს მთები,
 როდესაც ვმღერი, სულდგმულობს ფერი,
 მეორედ ვცოცხლობ, როდესაც ვმღერი.
 როდესაც ვმღერი თოვლია მტვერიც,
 როდესაც ვმღერი, გრძნობებით ვთვრები,
 ჩემია ყველა, სიცოცხლე მთელი...
 არ დაიჯერო სიტყვები ჩემი,
 მხოლოდ შენ გელი, როდესაც ვმღერი!



▲ სოციალისტური შრომის გმირი ღარეჯან ტაპიძე კომუნისტური შრომის სკოლაში ახალგაზრდებთან მორიგ მეცადინეობას ატარებს.



▲ ამ ქალიშვილებმა სოფელში დარჩენა და კოლმეურნეობაში მუშაობა ისურვეს.

▼ სოფელი ნატანები.



ლექსი

დედა

როს უძილო ღამე უცვთ ფიქრთა ფუნჯით თეთრდება,
უწინარეს, თაფლზე ტკბილი დედა გამახსენდება.

— შენე, როგორ მხიარულად მხვდება მთელი სოფელი,
შენ კი... დედი, ეს თვალეები მითხარ, რად გაქვს სოფელი?

მკოცნის დედა: — ვერ გაშიგებ წელს რომ გასძლო მილიონს,
ამნარი ცრემლი ღმერთმა ნურროს გამომილიოს!

ისე, ბიჭო, მართლა ვტირი, როს ბუხრის წინ ვმარტობი!..

— რათა?

— საუკუნის ვარ და... მალე უნდა დაგტოვო!

— არ გაგიშვებ!

— შემოგველე, ჩემს წახვლას კი არ ვწუხვარ,
იმას.. ერთ დღეს ბედისწერას
შენც რომ ვერხად წაუხვალ!

— მე კი არა, დრომ საწუთროს რუსთაველი მოსტაცა!

— ბიჭო, ჩემთვის ვაუაც შენ ხარ, აკაც და შოთაცა!

დედა გრძელმა გზამ კი არა, მართლაც იმან დალადა,
ცრემლი, ჩემზე დასაღვრელი წინასწარ რომ დაღვარა.

რვა მაისი... დედა სანთლად საბოლოოდ აინთო,
მარად სხოვნად დამიტოვა კვალი სამაგალითო.

ხომ დამშორდა, რა ხანია, მზის სამყაროს მიღმა თვლებს,
გზას კვლავ მისი სათნო გულის ჩირაღდანი მინათებს!

ნიკო ზურაბაშვილი

სიზმარი ვნახე წუხელა:
მეფერებოდა ბებია.
ქარიშხლის ფერებ დავლანდე,
შავეთის ხვეულებია,
ბაღლობის ოჩოფებები —
ჩამწკრივებული მთებია.
დაქანცულს გამამეღვიძა,
მამეჩვენა რომ ვკვლებია.
...ვიდრე შენ მყავხარ, რა
მომკლავს,
სიკვილ რამ მაფიქრებია!

არ თუ ვარ შენი საფერი.
ბევრ კუბეწ ქალა მინახავ
ღვინჭიღეებით ნაფერი.
მაგნიტოფონი არა მაქვს,
შენი ხმის ჩუმად ჩამწერი.
იქნებ შენც ზოგისფერი ხარ,
მე მლოცველივით შაგცქერი.
სუ მუდამ არას ძახილი
ჩემთან შენ აღარ შაგფერის.
ხომ იცი, ერთხელ ჩვენგანა
არც ჩრდილ იქნება, არც მტკერი,
ჩავიჩეხ-ჩავიწყებით,
როგორც კლდის შუბლზე ჩანჩქერი.

ოცნების გულა მკილია,
არაგვს პირთავევე მივყვები,
წინ შენზე ფიქრის ხილია
და კიდევ ბეწვის ხილები.
გზას მიმწყალობებს მინდია,
მიმაცილებენ ჩიტები.
გზაც და საფრენიც დილია,
სულო, ნუ დაიშრიტები!

შვილს

„საქათმეში შეპარულა მელა“ —
იმღერე და იფრთხილდე, ლელა.
გასძვრებოდეს ე მაგ მელას ქათიბი.
უელი დაგიმშვენდებოდა ნატიფი.
ჩიტუნიავ, თავი რატომ დახარე,
როგორც მსურდა, ჭერაც ვერ
გაგახარე.
დამადგება შაბათ-კვირის საშველი,
მინდვრის ყვავილს მოგიტანს
მამაშენი.

მთებს ჰირხლად მოჰკიდებია
შენი სიცვიის ნამჭერი,
სუ უარით რომ მისტუმრებ,


იფიქრე ასე... გვერდით მიღვეს ჩემი ჩანგური,
და მთელი ღამე ბალახებში მაქვ თავ ჩარგული.
შენი ცრემლივით ჩამორბის და წვიმა მახველებს,
გათენდება და გათენებას ცას შევასხენებ.
ქვაში, ნეშოში შენეული სითბო შევიცან,
ქვა სახთუშაღად, მომიხურავს მხრებზე შენი ცა-
და ძველებურად ნაშუსისთვის მშვენის უღვაში,
განძად, უჩინოდ ჩაგმანული ვარ სამყურაში.
აქ, სამყურებთან, მეძვეება ჩემი ჩანგური
და მთელი ღამე ბალახებში მაქვ თავ ჩარგული...



ზაფხულის ეტიუდები

ფოტო თარხან არჩვაძისა.





პირველი რესპუბლიკის

ჭეშმარიტი ექიმის მაღალი წოდება და ავტორიტეტი მთელი საზოგადოების რწმენა და იმედია, სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ექიმების საქმიანობაზე სათქმელი არ ილევა და ესოდენ დიდ პატივს მიაგებს მას ხალხი.

ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ახალგაზრდა ქირურგი და მკვლევარი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ფილტვის ქირურგიის განყოფილების გამგე რევაზ გაგუა.

სტუდენტობის პირველი წლებიდანვე რევაზმა მთელი პასუხისმგებლობით შეითვისა ის ჭეშმარიტება, რომ მომავალი სპეციალისტის პროფესიული დაოსტატების საწინდარი მეცნიერული ცოდნის დაუფლება.

სწავლის ბოლო წლებში გამოიკვეთა რევაზ გაგუას ინტერესთა კონკრეტული სფეროც. ეს ვახლდათ თეორიული და პრაქტიკული ქირურგია. არჩევანიც არ ყოფილა შემთხვევითი. რევაზს კარგად ესმოდა, რომ დასტაქრის შრომა მძიმე და საპასუხისმგებლოა, მისთვის ზედმიწევნით საჭიროა საქიმო ინტუიცია, ხელის სიზუსტე და მეცნიერული აზროვნება, ყოველივე ეს კი ერთ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული.

ჩვენ ხშირად ვიგონებთ გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპებს. მათი პირადი მავალითა. ახალგაზრდების აღზრდის საუკეთესო ფორმაა. რევაზის ცხოვრების გზაც არ ყოფილა მოკლებული ამ-

გვარ კეთილსმყოფელ გავლენას. მისთვის პირველი მაგალითი ყოველთვის იყო მამა — ოლიფანტე გაგუა, ფოთის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი, კომკავშირისა და პარტიის ვეტერანი, საყოველთაო პატივისცემით გარემოცული ადამიანი.

საქართველოს სსრ დამახურებული ექიმის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის მამია ჩხეიძის ხელმძღვანელობით შეასრულა რევაზმა დამოუკიდებლად პირველი ოპერაციები და პირველი წარმატებებიც იწემა.

პროფესიული დაოსტატებისაკენ შეუხელებელმა სწრაფვამ გადააწყვეტინა რევაზ გაგუას 1970 წელს სწავლა და მუშაობა გავრცელებინა მოსკოვის ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში — ფილტვის ქირურგიის განხრით.

ორდინატურის დამთავრების შემდეგ მას აქლევინ რეკომენდაციას, სწავლა გააგრძელოს ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში.

დაუფიქრია რევაზისათვის ამ დიდი ტრადიციების მქონე სახელოვან კოლექტივში ყოფნის წლები. მის ყოველდღიურ პრაქტიკულ და მეცნიერულ მუშაობას ხელმძღვანელობდა თვალსაჩინო ქირურგი და მეცნიერი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი მიხეილ პერელმანი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა რევაზ გაგუას პროფესიულ ფორმირებასა და ორიენტაციაზე.

ხელმძღვანელის საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა თანამშრომლებთან აღზრდის საუკეთესო სკოლაა; კოლექტივში, სადაც პასუხისმგებლობის გრძობა, ურთიერთგაგება და დისციპლინა არსებობს, იქმნება ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის ხელისშემწყობი მიკროკლიმატი. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ რევაზმა ვადაზე ადრე დაამთავრა საკანდიდატო დისერტაცია და სამეცნიერო საბჭოს დასაცავად წარუდგინა მეტად საინტერესო ნაშრომი თემაზე — რეთორაკოტომია შუასაყრის ქირურგიაში. შრომამ საერთო მოწონება დაიმსახურა და სამეცნიერო საბჭოს მიერვე რეკომენდირებული იქნა გამოქვეყნებულ იქნა მონოგრაფიის სახით. ნაშრომი ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის მეტად საჭირო წიგნად იქცა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მკვლევარს სთავაზობენ განაგრძოს მუშაობა ინსტიტუტში, მაგრამ რევაზი დაუბრუნდა თბილისს და 1976 წელს მუშაობა დაიწყო რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ფილტვის ქირურგიის განყოფილებაში. ქირურგ-პულმონოლოგის პროფესიას კარგად დაუფლებულმა სპეციალისტმა საინტერესო მუშაობა წარმართა კვლევით დაწესებულებაში. ამ მიმართულებით მან პირველმა განახორციელა პერიფერიული ბრონქების კათეტერიზაცია, რომელსაც დიდი საღიავნო და სამკურნალო ეფექტი გააჩნია.

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიზარდა ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამედიცინო დახმარების ქსელი, დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები ონკოლოგიური სამსახურის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. შეიქმნა ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრი. 1980 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ცენტრის დირექტორის, პროფესორ ლუარსაბ შარაშიძის უშუალო თაოსნობით იქმნება ფილტვის ქირურგიის ახალი განყოფილება, რომლის ორგანიზაციული სრულყოფა და მეცნიერული ხელმძღვანელობა დაევალი რევაზ გაგუას. მის საქმიანობას ახალ კოლექტივში ფართო ასპარეზი მიეცა. ჩამოყალიბებული განყოფილების მეცნიერულმა და პრაქტიკულმა პოტენციალმა მოკლე ხანში მოიპოვა ფართო აღიარება.

პირველად რესპუბლიკაში რევაზ გაგუას მეერატი-გუკუნდ და რთული ოპერაციები სასულესა და ბრონქოპნეიმონიტი-ბიც მანამდე სრულდებოდა მხოლოდ სსრ კავშირის დიდ სპეციალიზებულ ცენტრებში.

საექიმო დარგებს შორის ონკოლოგიის და, კერძოდ, ქირურგ-ონკოლოგიის პროფესია თავისი სირთულითა და სპეციფიკურობით განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება. იგი მოითხოვს მაღალ დეონტოლოგიურ ინტუიციას და ავადმყოფთან კონტაქტის დამყარების განსაკუთრებულ უნარს. სამუშაოდ, ჯერ კიდევ დიდია მოსახლეობის შიში ონკოლოგიური დაავადებებისადმი, სწორედ ამიტომ ავადმყოფთან უშუალო კონტაქტის პირობებში განსაკუთრებით ვლინდება ექიმის პიროვნული თვისებები, მისი მორალურ-ეთიკური მხარე.

ალბათ, ასეთ ექიმად შემორჩება მეხსიერებაში პატარა იგორს თავისი მკურნალი, რომელმაც მას სიცოცხლე აჩუქა. რაიონიდან უმძიმეს მდგომარეობაში ჩამოყვანილ ბიჭუნას ყოველ წუთს სიკვდილი ემუქრებოდა — მას დაუდგინდა სასულეს სიმსივნე. რევაზ გაგუას რადიკალურმა ოპერაციამ ბავშვს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

მრავალადა განყოფილებაში პაციენტთა მაღლი ე რ ე ბ ი ს გრძობით აღვსილი წერილები. ახალგაზრდული კოლექტივი ძალ-ღონეს არ იშურებს ავადმყოფთა გამოჯანმრთელებისათვის. საკმაოდ მაღალია აგრეთვე განყოფილების მეცნიერული პოტენციალიც.

რევაზ გაგუა ნაყოფიერ პროპაგანდას ეწევა ონკოლოგიურ ავადმყოფთა დროული გამოვლინების საქმეში, რაც ავთვისებიანი სიმსივნეების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს. დროულად გამოვლინებული თითქმის ყველა სიმსივნე ექვემდებარება მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს. ამ თეორიის სოლიდური დასაბუთებაა ის მეცნიერული მიღწევები, რომელსაც ამ განყოფილების კოლექტივმა მიაღწია ახალგაზრდა მკვლევარის რევაზ გაგუას ხელმძღვანელობით.

ჯანგირ მაჰალაძე,

შუბრალ „საბოტოთა მედიცინის“ მთავარი რედაქტორი, დოცენტი.

ლაშქარის „წმინდა კოლხეთი“

ილია ტაბაღაძე,

პროფესორი.

1628 წლის 14 დეკემბერს საქართველოში — გორში ჩამოვიდნენ რომის წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელის“ მიერ გამოგზავნილი თეთონიანი კათოლიკე მისიონერები დონ პიეტრო ავიტაბილე და დონ ჯაკომო დი სტეფანო. 1631 წლის 12 მაისს მათ მიემატა კიდეც ორი მისიონერი: არქანჯელო ლამბერტი და დონ-ჯუზეპე ჯულიანი. სწორედ ამ ორმა უკანასკნელმა დაგვიტოვა შესანიშნავი ცნობები საქართველოს შესახებ: პირველმა სიცოცხლეშივე გამოაქვეყნა საქართველოზე ორი წიგნი, ხოლო მეორემ, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო თავისი ნაშრომების გამოქვეყნება — ლევან II დადიანის მიერ პაპთან ელჩად გაგზავნილი, უკან დაბრუნებისას, თურქებმა დააპატიმრეს და 1648 წლის 9 მაისს კონსტანტინოპოლის სასურობლოში მუხანათურად მოჰკლეს. არქანჯელო ლამბერტი საქართველოში 20-მდე წელი დაჰყო. აქედან, ორი წელი აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დანარჩენი — დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში.

1628 წლის 19 ნოემბერს არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯუზეპე ჯულიანი ილორის ეკლესიაში მივიდნენ. სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს ისინი კარგად მიუღია. „ჩვენ გვეგონა, — წერს არქ. ლამბერტი თავის „წმინდა კოლხეთში“, — რომ ეს ადგილი — ილორი ჩვენი მოგზაურობის დასასრული იქნებოდა და აქ ჩვენ შევძლებდით, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, რამდენაღმე დაგვეხვეწა. ამასთანავე, ვცდილობდით, ნიციფორეს (ნიციფორე ირბახი — ჩოლოყაშვილი იმ დროს ლევან დადიანთან იყო. — ი. ტ.) მთავარ დადიანთან ჩვენი შეხვედრა მოეწყო. მაგრამ ნიციფორემ გვითხრა: „აქ მთავართან შეხვედრის დრო არ არისო. სადილის შემდეგ, მთელ სამეფო კართან ერთად ჩვენ სხვა ადგილას — მერკულაში უნდა წავსულიყავით. მთავარი იქ მოგვიწყობდა მეტად სასიამოვნო მიღებას. შემდეგ იმავე ნიციფორემ გვითხრა: ამ მთავარს ჩვეულება აქვს, რომ ერთ ადგილას დიდხანს არ გაჩერდეს, არამედ სულ განუწყვეტლივ მოგზაურობს თავის ქვეყანაში: რომ ჩვენც მასთან ერთად ცოცხალი ვავივლით, ვიდრე ნახავთ რომელიმე ადგილს თქვენს საცხოვრებლად.“

ჩვენ, რომლებიც ხანგრძლივი და დამძლევი მოგზაურობით დაქანცულნი ვიყავით, ძალიან შეგვაშინა ამ ამბავმა, ვინაიდან დახვედრა გვიკვირებოდა. მაგრამ, როცა საქმეს ჩავუკვირდით, დავთანხმდით. სიარული ხომ მისიონერების ხელობა იყო. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევდა, დაგვეწყო ღვთისმსახურება, ჩვენ ვერცხვით ღვთის ნებას, რადგან ამ მხარე-

ში ჩვენი ჩამოსვლის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო.

სადილის შემდეგ მთავარი მთელი თავისი ამალით მერკულაში გაემგზავრა. ჩვენც მასთან ერთად წავიდით. მთავარმა იქ მეტად თავაზიანი მიღება მოგვიწყო. ჩვენ მას საჩუქრები მივართეთ: რამდენიმე გვირგვინი და ერთი მკერდის საათი. საჩუქრები მას ძალიან მოეწონა. იგი დაგვიპირდა, რომ თავის ქვეყანაში პატივით შეგვინახავდა; ყველა შემთხვევაში და ყოველთვის ხელს შეგვიწყობდა.“

ლევან დადიანს ამ მისიონერებისათვის წიფურიაში (წიფურია დღეს არ არსებობს. იგი მდებარეობდა ახლანდელი თავილონის ტერიტორიაზე, გალის რაიონში. — ი. ტ.) ეკლესია და მიწები მიუცია. არქ. ლამბერტი წერს: „მთავრის დიდი წყალობა მივიღეთ: მან ადგილი მოგვცა წიფურიაში, ხოლო ცოცხალი შემდეგ კი — ეკლესიაც, რომელიც იმავე ადგილას იდგა... ეს ადგილი მეტად ღმერთსაა. იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ მოგვეჩვენა ოდიშში: უხვ მოსავლიანი დაბლობი, კარგი სასმელი წყლები, აქვე მიედინება ენგური (ანტიკურ ხანაში ასტროფლო წოდებული), რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში ძალიან ცივია და საუკეთესო. ჰაერი თუ ყველგან სადი არაა, ყოველშემთხვევისათვის, მოსაწონია. ზამთარი აქ მთების სიმკაცრეს არ ემორჩილება. აქ აღამიანი მარადიული გაზაფხულით ტკბება. ზღვიდან შორს არაა, არც ახლოა...“

არქ. ლამბერტი ძირითადად წიფურიაში ცხოვრობდა. იქ იწერებოდა მისი მომავალი წიგნები საქართველოში. 1650 წელს არქ. ლამბერტი იტალიაში, თავის მარაბლო ნეაპოლში, დაბრუნდა, დაასრულა თავისი ნაწარმოები და ორი წიგნი გამოაქვეყნა საქართველოზე: „სამეგრელოს აღწერა“ (გამოქვეყნდა ნეაპოლში 1654 წ., თარგმნა ქართულად ალ. ჭყონიამ და გამოქვეყნდა თბილისში 1908 წ.) და „წმინდა კოლხეთი“ (გამოქვეყნდა ნეაპოლში 1657 წ.).

„სამეგრელოს აღწერის“ ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში ალ. ჭყონია წერდა: „არქანჯელო ლამბერტის... 1657 წელს, ნეაპოლში კიდევ მეორე წიგნი — „კოლხიდე საკრა“ — გამოუცია, რომელშიც უნდა იყოს აღწერილი სამეგრელოს ზღულისა და ეკლესიის მხარე. ეს მეორე წიგნი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. კარგი იქნება, ვინმე მოძებნიდეს ამ წიგნს რომის ბიბლიოთეკაში და ქართულად გადათარგმნიდეს.“

ევროპის ქალაქების ბიბლიოთეკებიდან (პარიზი, ვენა, ლონდონი, მადრიდი, რომი, ვენეცია, ფლორენცია, ნეაპოლი) ეს წიგნი მხოლოდ ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში ვიპოვე. გადავიღე მისი ფოტოკოპი, ან

საქართველოში ჩამოვიტანე და ბ. გიორგაძესთან ერთად ქართულად ვთარგმნე.

არქ. ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ შედგება 52 თავისგან (430 გვერდი) და ეხება არა მარტო კოლხეთს, არამედ მთელ საქართველოს და საქართველოში თეთონიელი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას, წიგნში განხილულია: ახ. წ. პირველ საუკუნეში კოლხეთსა და იბერიაში ქრისტიანობის გავრცელების ცდის საკითხი, წმ. ნინოს მოღვაწეობა ქართლში და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, საეპისკოპოსოები და ეკლესიები საქართველოში, ქართველი მეფე-მთავრების ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან, ნიციფორე ირბახის (ჩოლოყაშვილის) ელჩობა ევროპაში, სპარსელთა გამანადგურებელი ომები აღმოსავლეთ საქართველოში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროების საზღვარი და საგარეო მდგომარეობა და სხვ.

არქ. ლამბერტის მიხედვით, თეთონიელი მისიონერთა პირველი შთაბეჭდილება საქართველოსა და ქართველებზე ასეთი იყო: „მთელი იბერიის დიდი ნაწილი საქაოლად დაბლობია. იბერიის მთავარი ქალაქებია: კახეთის სამთავროსი — გრემი, ზაგემი, შუამთა და სხვ., ქართლის სამთავროსი — თბილისი, ქვეყნის დედაქალაქი, გორი, სურამი და ბევრი სხვ. თბილისი ამ დროს სპარსელების ხელში იყო და მას მართავდა სიმონ ხანნი, გამამამდიანებული, მაგრამ ეროვნებით ქართველი. იგი ქართლის მეფეთა შთამომავალია.“

მთელი საქართველო მდინარეებით უხვია. აქედან მთავარია კურა, მათ მიერ კიურად წოდებული. ეს მდინარე გაივლის რა ქალაქ გორს, თბილისს შუაში ჭრის და ერთვის კასპის ზღვას. ამ ქვეყანაში შესანიშნავი ჰაერია, მაგრამ იმდენად მშრალი, რომ მიწა, თუ არ დასველდა, პროდუქტებს არ იძლევა: არც მარცვლეულს, არც უურძენს და არც სხვა ხილულს. მაგრამ ისეთი მხარეა, რომ წყლის მიღება რამდენიმე სხვა მდინარეებიდანაც შეუძლია და მასინ ეს მიწა იმდენად ნაყოფიერი ხდება, რომ ვერც ერთი სხვა მიწა ვერ ჯობნის. ასე რომ, მას მრავალი მდინარე ყოველ მხარეს რწყავს და მეტად ნაყოფიერს ხდის. აქ არის მარცვლეული, ვაზი და საუკეთესო ხილული. აქ ვხედავთ ტყეხავით დარგულ თუთის ხეებს. სოფლები სავსეა თუთის ხეებით. აქედან, აბრეშუმის წარმოება იმდენად დიდია, რომ იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვთ სხვა ქვეყნებში.

შემდეგ, ქართველები ღამაში სახისა არიან, კანით თეთრები; ზოგინათ მათგანს ჩვენი იტალიელებისაგან ვერ ვაარჩევ. იბერიელთა ზნეჩვეულებები დიდად არ განსხვავდება კოლხების ზნეჩვეულებებისაგან, როგორც ჩაცმულობაში, ასევე საქმეში, აგრეთვე ცერემონიაში, მიცვალებულთა დასაფლავებაში და ღვთისმსახურებაში. ამასთანავე, არც უფრო ცივილიზებული არიან კოლხებთან შედარებით. ან იმის გამო, რომ შეგუფებულია ცხოვრობენ, ან

იმიტომ, რომ სპარსელებთან ახლო ცხოვრობენ, იბერიელებს სახლები განსხვავებული აქვთ კოლხებთანაა. კოლხები ხის სახლებში ცხოვრობენ, იბერიელები კი ქვისგან აგებენ სახლებს ფანჯრების გარეშე, შუაში ვიწრო გასასვლელით, საიდანაც ცეცხლის ბოლი გადის. ცეცხლი კი სახლის შუა ადგილას მულამ ანთია.

კახეთის პროვინციაში ტყეები არის, ხოლო ბორცვები ნაკლებად. ქართლში უურძენი და სხვა ხილული უხვადია. აქ დიდი სიცივე იცის, ისევე, როგორც ლომბარდიაში. მაგრამ ლომბარდიასავით საფარები არ გააჩნია, თუმცა მათი საჭიროება არ იგრძნობა.

მეფე ზაფხულის პერიოდის მეტად დრო მშვენიერ კარავში ცხოვრობს. მას მულამ თან ახლავს თავისი ქვეშევრდომები დიდი რაოდენობით. მეფე თავისი სურვილის მიხედვით ადგილს ხშირად იცვლის: ხან ჩერდება მდინარის პირას, ხან გორაკის თხემზე, ხან ისეთ ადგილას, სადაც უხვადია ხილული და ხან იქ, სადაც ბევრი ნადირია.

იმ დროს, როდესაც თეთონიელი მისიონერები საქართველოში ჩავიდნენ (1628 წლის 14 დეკემბერი. — ი. ტ.), სპარსელებისაგან აობრებული ქვეყანა ჯერ კიდევ ცეცხლსა და კვამლში იყო გახვეული. გაძარცვული მოსახლეობის დიდი ნაწილი სპარსეთში გადაესახლებინათ, თუმცა გადასახლებიდან გამოქცეულები და საქართველოში დაბრუნებულნი, ყოველდღე ხელახლა სახლდებოდნენ.“

მეფე თეიმურაზ I-ის შესახებ არქ. ლამბერტი წერს: „თეიმურაზმა მისიონერები რამდენიმე დღე დატოვა თავის სამეფო კარზე და ხშირად პატიულობდა მათ თავისთან სადილზე. იბერიელების სადღიო კოლხების მსგავსად ყოველთვის ხანგრძლივი იყო. ამ შეხვედრების დროს თეიმურაზი მათ ეკითხებოდა ამბებს ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამ შეკითხვებზე მამა დონ ჯაკომო დი სტეფანო იმდენად ამომწურავად პასუხობდა, რომ ხშირი საუბრების შედეგად, თეიმურაზმა დონ ჯაკომო დი სტეფანო ძლიერ შეიყვარა. სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი თეიმურაზთან გარკვეული თავისუფლებით სარგებლობდა... მან მოკლე ხანში დაიშახურა თეიმურაზ მეფის წყალობა. თეიმურაზი ამ დროს დაახლოებით ორმოცდაათი წლის იყო, ღამაში შეხედულების, თეთრი კანი, არწივსებური ცხვირით, მსხვილი თვალებით, ტანად საშუალოზე მაღალი, მეტად თავაზიანი მანერებით; ძალიან კარგად ფლობდა თურქულს, სპარსულს და ქართულ ენებს. ეს ენები იმდენად მოხდენილად იცოდა, რომ თხზავდა უმშვენიერეს ლექსებს. მამა დონ ჯაკომო დი სტეფანოზე მთელი ისტორია მან ლექსად შეადგინა.“

არქ. ლამბერტი მაღალ შეფასებას აძლევს თეიმურაზის პოლიტიკურ და სამხედრო განათლებას.

არქ. ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანი მომავალ წელს გამოქვეყნდება.


კროსვორდი



შვეულად: 1. ქირურგიული ჩარევა სამკურნალოდ; 2. პიონის გიშის ყურ-
ძნიდან დაყენებული ფრანგული თეთრი ღვინო; 3. აზოტმჟავას მარილი; 4.
ჯარების შენაერთი; 5. მწერი; 6. თევზი; 7. მოკლე წინასწარი განცხადება;
12. მეცნიერება მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა შესახებ; 14. ენათ-
მცოდნე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; 17. ზღვაში
თევზის საჭერი ბადე; 19. მდინარე პოლონეთში; 22. ადგილმდებარეობის
წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 23. გამხსნელის შეღწევა ხსნარში გამ-
ყოფი ტიხრის გავლით; 24. მოუქიქავი ფაიფური; 26. ნივთი, რომელსაც
ცრუმორწმუნენი ატარებენ უბედურების თავიდან ასაცილებლად; 27. ფიცა-
რი, რომელსაც მხატვრები ხმარობენ საღებავების შესახებ; 30. ქალა-
ქის პატარა ნაწილი; 31. ცხოველთა სამყარო.

თარგუმად: 7. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს
ინსტანციაში; 8. ელექტროაქუსტიკური აპარატი ძლიერი და მკაფიო ბგერის
კვლავწარმოქმნისათვის; 10. ხორხის ლორწოვანი გარსის ანთება; 11. ცნო-
ბილი საბჭოთა მეშახტე-ნოვატორი; 13. ერთუჯრედიანი მიკროსკოპული ცხო-
ველი; 15. მუხლუნებიათი საბრძოლო მანქანა; 16. სიღრმიდან ამონთხეული
ქანი; 18. საპერო ფლოტი; 20. ბასის დაბალი ნაირსახეობა; 21. ცნობილი
ამერიკელი კინორეჟისორი; 25. საბერძნეთის უძველესი ქალაქი, ოლიმპიური
თამაშების ადგილი; 27. სატირული ხასიათის მიმადვა ვისიმე გაკიღვის მიწ-
ნით; 28. მამაკაცის სახელი; 29. ნავსადგური ატლანტის ოკეანის სანაპირო-
ზე; 31. სახელმწიფო ხანა; 32. თეორიული მექანიკის დარგი; 33. უმაღლესი
სამხედრო სასწავლებლის ასპირანტი; 34. ახლო-აღმოსავლეთის ერთ-ერთი
უძველესი ქვეყნის შემსწავლელი სპეციალისტი.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ.



„დროშა“ № 6 გამოკვეთილი კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ფრონტი; 2. ნუში; 3. იპრიტი; 4. ბარაკი; 5. „ორგრა“;
6. ნიხრი; 7. ისინდი; 8. ბარკაროლა; 11. აკვალანგი; 12. ბავარია; 13. არტე-
რია; 17. მესერი; 19. აკორდი; 21. კიტრი; 22. დანია; 24. ახტალა; 25. პუჩი-
ნი; 27. ნოტა.

თარგუმად: 1. ფასანაური; 4. ბაროკო; 6. ნერონი; 8. რაინი; 9. ბრაი-
ლი; 10. ირონია; 12. ბარქაია; 14. „ისკრა“; 15. რანგი; 16. აბაშიძე; 17. მარ-
სი; 18. იალტა; 20. აკოლადა; 23. არსენა; 25. პილოტი; 26. რინგი; 28. იამა-
ნი; 29. ამინდი; 30. ანთრაციტი.

ასე ფიქრობენ კვლე და ბეკენბაუერი

ჩეხოსლოვაკიის ყოველკვირეულმა საფეხბურთო
გაზეთმა „გოლმა“ გამოაქვეყნა ფეხბურთის წესე-
ბის მოდერნიზაციის წინადადებანი, რომლებიც პე-
ლემ და ბეკენბაუერმა დაამუშავეს. ამ საკითხებს
ისინი დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ,
როდესაც ერთად თამაშობდნენ ნიუ-იორკის „ოს-
მოსში“. პელეს და ბეკენბაუერის წინადადებები
ექვს პუნქტს შეიცავს.

1. აუტიდან ბურთის ფაზით შემოტანა.

— მე ამ მოვლენას ვუყურებ მონაკოში გამარ-
თულ ჭაბუკთა ტურნირზე, — ამბობს პელი. —
თამაში გაცილებით სწრაფი იყო, მნიშვნელოვნად
იმატა საგოლე სიტუაციათა რაოდენობამ. აუტი-
დან ხელით ბურთის შემოტანას კი, როგორც წე-
სი, თამაშის გამწვავებად მივყავართ. გაცილებით
უკეთესი იქნება, აუტიდან ბურთი ხელით კი არა,
ფეხით შემოიტანო.

2. საჯარიმო მოედანში წესების დარღვევისათვის მსაჯი ნიშნავს პენალტს. როცა ანალოგიური დარ- ღვევა ხდება კარიდან 17 მეტრის მოშორებით, ინი-

შნება საჯარიმო დარტყმა, რომლის დროსაც მოწი-
ნააღმდეგეები ცოცხალ კედელს აღმართავენ. პე-
ლე და ბეკენბაუერი თვლიან, რომ ეს არასამარ-
თლიანია, რადგან ფეხბურთელს, რომლის წინააღ-
მდეგაც გამოიყენეს აკრძალული ილეთი, შეეძლო,
მოწინააღმდეგის კარისათვის საფრთხე შეექმნა.
ორივეს აზრით, საჯარიმო დარტყმების დროს, უნ-
და აიკრძალოს ცოცხალი კედლის აღმართვა. ამის
შედეგად იმატებს კარში ბურთის ძლიერად დარ-
ტყმათა რიცხვი, გაიზრდება გოლების რაოდენობა.

3. გაუქმდეს ფრეზები

— ფრეზების გაუქმებამ კარგი შედეგები მოგვცა
ამერიკის შეერთებულ შტატებში, — ამბობს პე-
ლე, — თუ მატჩი დამთავრდება ყაიმიტო, საჭიროა
დაინიშნოს ორი შეიდწუთიანი, ან ორი — ათწუ-
თიანი დამატებითი ტაიმი. ამ შემთხვევაში, თუ
ვერც დამატებითი დრო გამოავლენს გამარჯვე-
ბულს, საჭიროა, დაინიშნოს საჯარიმოთა სერია
პოკეის პენალტების მსგავსად.

4. გატანილ გოლმაზე ქულაგის მიწივება

— ამერიკის ჩემპიონატში მოგებზე იძლევიან
6 ქულას, პლუს თითო ქულას პირველ 3 გატანილ
ბურთზე. ამრიგად, გამარჯვებული გუნდი, რომელ-
მაც 3 ბურთი გაიტანა, იღებს 9 ქულას. დამარცხე-

ბული გუნდიც იღებს ქულებს; მაგალითად თუ გუ-
ნდმა წააგო ანგარიშით 3:4, იგი იღებს 3 ქულას.
ამ წესების მიხედვით, გუნდი, რომელიც წინა ან-
გარიშით 2:0, ცდილობს, გაიტანოს მესამე ბურთი,
ხოლო გუნდი, რომელიც აგებს მატჩს, არ ნებდება
და თავგამოდებით ცდილობს, გატანილი ბურთე-
ბით მოიპოვოს ქულები.

5. თამაზბარე მდგომარეობის წარსის ფიცვლა
თუ ორივე გუნდი დასპეციალდება ხელოვნური
თამაზბარე მდგომარეობის შექმნაზე, მაშინ მაცუ-
რებელს ასეთი მდორე ფეხბურთი მალე მოსწყინ-
დება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს პრობ-
ლემა ამგვარად გადაწყვიტეს: თამაზბარე მდგომარე-
ობა აღინიშნება მოწინააღმდეგის მიწვრის არა
მთელ ნახევარზე, არამედ კარიდან მხოლოდ 32
მეტრის მანძილზე.

6. ორი მთავარი მსაჯი
თითოეული მსაჯი პასუხს უნდა აგებდეს მოედ-
ნის თავის ნახევარზე, ასე ფიქრობს ორივე გამო-
ჩენილი ფეხბურთელი. ამის შედეგად შემცირდება
მცდარ გადაწყვეტილებათა რაოდენობა. ახლა, რო-
დესაც არბიტრი თამაშს მთელ მოედანზე ადევნებს
თვალყურს, შეცდომები გარდაუვალია.

თამაზ ფიქლური

კორეპტორი ცისანა სიონიასა

მონტაჟი ნანული დანელიასი

გარეკანის პირველ გვერდზე: „ახალგაზრდობა“. ფოტოგრაფიული სერგო ედიშერაშვილისა.
მეორე გვერდზე: „ზემი ხობში“. ფოტო თარხან არჩვაძისა.

გადაცვა წარმოებას 21.06.84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.07.84 წ. უე 08108 ქალა-
ლის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფეტურ-
რი წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,8 საადრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 1.392. ფასი 35 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный
журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ле-
нина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის —
99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის —
99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, გან-
ყოფილებათა გამგეების — 98-28-42,
რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს
არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



82191/106



© 1994 C. 76056